



ილორნი



E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru

№411 (470) 1-15 აპრილი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო ფასი 50 თეთრი
სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრუნად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – ააქაი შენიძა

**ანზორ დანელიას
სამადლობელი ვერილი
“საქართველოს ფოსტას”**
დიდი ვაჟა ბრძანებს: „ლამაზად შეილის
გამზრდელი, დედა მიცვნია გმირადა!“ თეა, ბაბუ,
ჩემი ესოდენ გახარებისათვის, გფარავდეს
მამაზეციერი და დედა ღვთისმშობელი! გისურვებ
მშვიდობას, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და
რაც მთავარია, გამრავლებას, საქართველოს
საკეთილდღეოდ! ამინ!

88.3

**საქართველოს
საპატრიარქო
საზოგადოებას
აფრთხილებს**

88.3



**ჰამლავ
ჭიკაუვილი:
რუსეთში
ვიზიტის
გაგო**

88.6

**თავზი, როგელის
ამხირებს კიბოსა
და ინფარქტის
რისკს**

88.8




**ლავრენტი
ბერი —
საბჭოთა
კავშირის
ხილდანამებული
გმირი**

88.4

**სერგი საჯანია:
ციკლიდან „ყოველი
სულნი აქვებეთ
უფალსა...“**

88.5



**ლუარა
სორდია:
მერაბ
კოსტავას
კოეზია**

88.2

**თამაზ ნივნივაძე:
ეს
სირუნ,
სირუნ!..**

88.7,8

**ზურაბ კვარაცხელია:
კიდევ ერთხელ
მავთულხლართებთან
დაკავშირებით...**

88.3

**პასტანო ხარჩილავა:
ვინ არის ქალბატონი
ლეილა მუსტაფაევა და
რა საიდუმლოს მალავს
იგი?**

88.6

მერაბ კოსტავას პოეზია

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

მოკლი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავეწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფრად ვარ- ვივარ.

სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყნობს, არ ამპარტავნობს.

არ სხადის უწესობას, თავისას არ ეძებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს.

არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშ- მარიტება ახარებს.

ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს იმეძნს.

სიყვარული არასოდეს მთავრდება. წინასწარმეტყველებანი იყოს, გაუქმდება, ენები იყოს, შეწყდება, ცოდნა იყოს, გაუქმდება.

ვინაიდან ნაწილობრივი ვიცით და ნაწილობრივს ვწინასწარმეტყველებთ.

...ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული ეს სამი. ხოლო მათგან სიყვარულია უმეტესი” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 13,1-13) (2,375-376).

“ესწრაფეთ სიყვარულს და ეშურეთ სულიერ ნიჭებს, უფრო კი, რომ იწინასწარმეტყველოთ” (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 14,1) (2,376).

“ცოდნა ამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს” (I კორინთელთა, 8,1) (2,367).

მერაბ კოსტავას ლექსში “მსხვერპლი” (1,165) საღვთო სიყვარულს ჰქვია “ტროფობა დაუღვევლი”, რომელიც გულისხმობს ქვეყნის ბოლომდე შეყვარებას ისეთი ძალით, როგორც იგი უყვარდა ქრისტეს და სწორედ ასეთი სიყვარული (მსხვერპლის) გზა მიდის სამუდამო სასუფევლისკენ: “რამ მოგანიჭა ესე ტროფობა დაუღვევლი, შენი შემყურე ვით არ გავხდე ჭკუათმყოფელი. თუ გსურს ბოლომდე დაიმკვიდრო სასუფეველი, უნდა ბოლომდე შეიყვარო ესე სოფელი ისე, ვით ქრისტემ შეიყვარა იგი ბოლომდე” (მსხვერპლი) (10,165).

ახალ ადტივში მთავარია “სულის” (დმერთის) დამკვიდრება ადამიანის არსებაში, ქრისტეს სიყვარულის შეცნობა, რომელიც ცოდნაზე აღმატებულია: “ნუ დათვრებით ღვინით, რომელიც აღვირახსნილობაა, არამედ აღივსებით სულით” (პავლე მოციქული, ეფესელთა, 5,18) (2,420). “და შეიცანით ქრისტეს სიყვარული, ცოდნას რომ აღემატება, რათა აღივსოთ სრული ღვთიური სისხვით” (პავლე მოციქული, ეფესელთა, 4,19) (2,420).

მერაბ კოსტავა ადამიანურ სიბრძნეს და სიყვარულს ერთმანეთს ადარებს და სახარების წინაშე მათგან განსხვავების წინაშე აკეთებს დასკვნას: “...ყოველი საწყისი სახარულს ჩაბარდება, შეწყდება სიბრძნით, შეწყდება დაბადება, ცდომილთა ღუნე სიარული, ყოველივე, სიბრძნეც კი განქარდება. დარჩება... მხოლოდ სიყვარული” (ყველგან, ან არსად) (10,116).

ლექსში “ირაკლის” (10,128) სიყვარული გზად და ხილად და ბნელში ნათლით გვხვს გამკვლევი: “ტროფობა ნაჭარბი რადგან გულებით, სასუფეველი იძულების, უდრეკ ზღუდეთა მარად დაძვლები, ვით სიყვარული ჩვენ

გზად და ხილად და ბნელში ნათლით გვხვს გამკვლევი, მეოხ გვექმნების განგება დიდად”.

სრულყოფილი არსებობის საწინდარი ხდება “ადტივულის მადლი” და “სამების მძლე სიყვარული”: “მაშინ გაუვა ყავლი წამებას, ადტივულის მადლი როს არ ავცვდება, როს ჩვენს წილში ესე სამება მძლე სიყვარულით გაერთარდება” (ირაკლის) (10,129).

ასევე, მოძმის სიყვარულის მსახური იყო პოეტის სიტყვა და საქმე: “შემაძლებინე, მადლო ღმერთო, მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო, მოძმე მკერდიდან არ მომიკეთო, ტროფობა მისი არ განმიქარეო” (ქართული საგალობელი) (10,31).

მოძმის სიყვარულის უარყოფელი უხეიანი სიყვარულის საფეხურამდე ვერასოდეს აღწევს: “განა ღმერთს ჰყვარობს, მოძმეს თვისას ვინც პატებს არ სცემს, მართალთა შორის განა არის ის შესარაცხი?” (ბიბლიური რემინისცენები) (1,96).

პოეტის იდეალია “მამულის ტროფობით ნაშემოღები” ადამიანი (მამაცი მხედრის) (10,14).

გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის “შესამე გზის” გამკვლევი სიყვარულს გაიზრებად მერაბ კოსტავას: “...შესამე გზა... შენ გეპერა აქ სიყვარულით, იქ სიერცხვების დაპატრონებით” (გალაკტიონი) (10,154).

კონსტანტინე პარმონიას და სფეროთა მუსიკას უხეიან სიყვარულთან აიგივებდა პოეტი: “კონსტანტინე პარმონია და სფეროთა მუსიკა სხვა არაფერია, თუ არა უხეიანის სიყვარული” (9,57).

სიყვარული მოითხოვს მსხვერპლს, თავდადებას: “...ვაჟაკურ გზების გარეშე არ არის ქვეყნად არც სიყვარული” (იქ თავგანწირვა გავიდეს კარებს) (9,22-23).

ლიტერატურა

პლატონი, “ნადიმი”, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ. 1964

ახალი ადტივა და ფსალმუნები, 1992 საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985

სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი II, თბ. 1991

დანტე, “ღვთაებრივი კომედია”, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941

ოიანე პეტროვი, სათნებათა კიბე, თბ. 1968

ადმოსავლური პოეზია, თარგმანი თამაზ ჩხენკელის, თბ. 1981

ლუარა სორდია, საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ადგილები ქართულ პოეზიაში, თბ. 2009

მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991

მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990

გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982

“წილთა სიბრძნის აიაზამა მასხურობელი”

მერაბ კოსტავას მსოფლმხედველობა მართლმადიდებლურ ქრისტიანობას ეფუძნება. მის რელიგიურ პოსტულატებში უპირველესი ადგილი უკავია საღვთო სიბრძნეს და საღვთო სიყვარულს.

პოეტი განარჩევდა ბოროტეულ, ეშმაკეულ ცოდნას და წმინდა, ზეციური მადლებული სიბრძნეს, სორცეულ და სულიერ გონებას.

ბიბლიის, მითოლოგიის, ღვთისმეტყველების, ფილოსოფიის, კლასიკური ლიტერატურის ზედმიწევნითი ცოდნა, შემცდარი ინტუიცია საშუალებას აძლევდა, გაერჩია ნათელი და ბნელი, სიყალბე და ჭეშმარიტი, სიკეთე და ბოროტება, თვალთმაქცობა და პირუთვნელობა.

პოეტის აზრით, მიწიერი მოვლენები გაპირობებულია “ზეციური იერარქიით, ამიტომ აუცილებელია “ზეციური გეომეტრიის”, ცის და მიწის ისტორიის შეცნობა. მხატვრული სიტყვის დანიშნულებაა შექმნას სულის ისტორია, განამტკიცოს რწმენა, ხალხს უჩვენოს ტაძრისკენ მიმავალი გზა, ემსახუროს ერთვნივ და საკაცობრივი იდეალებს, შეიცნოს თავისი ხალხის სულიერი ფენომენი, მისი მარადიულობის საფუძვლები: “სცან შენი მოდგმის ბალავარი, ურყევი მიწევი”.

მხოლოდ რწმენის ძალას ხელეწიფება მთა-ბარის, ზეცის და მიწის შეტერა-გაერთიანება: “რწმენამ უდრეკამან შეარყიოს, შესძრას მთა-ბარი, რომ არ განიყოს ისტორია ცისა და მიწის (ბიბლიური რემინისცენები) (1,87-104).

სრულყოფილების საწინდარია ორი საწყისის შეცნობა-მსახურება: “ვარსკვლავთა ლაგვარდს ოცნებით ასწვდი და ემბორე მიწას (სულო, დაიცა) (1,40-42).

პოეტური ნიჭი სულიწმინდის მადლია და შემოქმედი, როგორც ხატი ღვთისა, ხილულის პარალელურად, მიღმიურსაც უნდა სჭვრეტდეს: “ღექსი, სიკვდილის ზიარი, შავეთში გადაახელი” (ღექსი) (1,60-61).

ბიბლიის მიხედვით, ღმერთი არის “სიბრძნე – ყოველთა შემოქმედი” (სიბრძნე სოლომონისა, 7,21) (2,24).

“წყარო სიბრძნისა” ღმერთია (ბარუქ წინასწარმეტყველი, 3,12) (2,190).

“ერთია ბრძენი, ფრიად საშიში, თავის ტახტზე დაბრძანებული” (სიბრძნე ზირაქისა, 1,8) (2,35).

“ყოველი სიბრძნე უფლისგან არის და მასთანაა საუკუნოდ” (სიბრძნე ზირაქისა, 1,1) (2,35).

სიბრძნე ღმერთის სახელია: “ღმერთი ითქმის გონებად, აზრად, სულად, სიბრძნედ, ძალად. სულიწმინდა ითქმის სულად ჭეშმარიტებისა და სიბრძნისა” (ოიანე დამასკელი) (3,341).

“ღმერთი ჭვრეტს ყოველივეს თავისი საღვთო, ყოვლის მხედველი და უნიუთო მხურით, აწმოსაც, წარსულსაც და მომავალსაც” (3,342).

ღმერთს ეწოდება აზრი და მოაზროვნე, სიბრძნე და ბრძენი, გონება და გონისმთქერი (3,338).

მერაბ კოსტავა დაცემული სულის ხსნის გზას საღვთო სიბრძნესა, სიყვარულსა და მშვენიერებაში ხედავდა: “ეგრე დაცემული გიხსნას რელიგიამ, სიბრძნემ, სიყვარულმა და მშვენიერებამ” (ეტიუდი) (1,80-82).

სიბრძნესა და სიყვარულში ღმერთია ნაგულისხმევი, რადგან “ღმერთი სიყვარულია” (I იოანე, 4,8).

ნ. ბარათაშვილი ბრძანებდა: “მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული” (რად ჰყვედრი კაცსა).

ბიბლიაში მშვენიერებაც უფლის “სამოსელია”: “უფალო, სიმშვენიერით და ბრწყინვალეობით ხარ შემოსილი” (ფს.104,1) (4,633).

“შენა ხარ მშვენიერება მათი ძალისა” (ფს.68,18) (4,619).

“...ღმერთი ჩემო... შენს დიდმშვენიერებაზე, დიდებაზე, ბრწყინვალეობაზე, შენს საოცარ საქმეებზე ვილაპარაკებ” (ფს. 145,5) (4,679).

მერაბ კოსტავა ეძებდა საღვთო სიბრძნეს – “სიბრძნეს დაწმინდელს”, “ნათლის სვეტად” მოვლინებულს, ნათელი, “ნათლის სვეტი” და მისი ვარიაციები კი საღმრთო სახელია: სიბრძნეს დაწმინდელს, ნათლის სვეტად აღვიქვამთ მუდამ, ამაღაც, როცა თითო ნაბიჯს დგამენ ცოდნისკენ, ორი ნაბიჯი ზნეობისკენ გადადგან უნდა” (1,101).

მხოლოდ “უხეიანის რჯულის” შემცნობნი ჩასწვდებიან ჭეშმარიტ სიბრძნეს და წინასწარმეტყველების უნარით, ანდაზების, ივაგების, გამოცანების აზრის განჭვრეტით გამოირჩევიან: “მხოლოდ ის, ვინც თავს შესწირავს უხეიანის რჯულის შესწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნეს და წინასწარმეტყველებაში გაიწვავება.

“გამოიკვლევს ანდაზების დაფარულ აზრს და ივაგთა გამოცანებს გამოიცნობს” (ისო ზირაქი, 39,12) (2,62).

“...ის გარდასულისა და მომავლის მაუწყებელია და დაფარულთა კვლის გამომცხადებელი” (ისო ზირაქი, 42,19) (2,65).

აგარის შვილები, ვაჭრები, მიწიერი ცოდნის მაძიებლები ვერ იპოვიან სიბრძნის გზა-ბილიკებს, შეგვაგონებს ბარუქ წინასწარმეტყველი: “ვერც აგარის შვილებმა, რომელიც მიწიერ ცოდნას ეძებდნენ, ვერც მერონისა და თემანის ვაჭრებმა, ვერც მთხრობელებმა და ვერც ცოდნის მიძებნელებმა ვერ გაიგნეს სიბრძნის გზა და ვერ გაიხსენეს მისი ბილიკები” (ბარუქი, 3,23) (2,190).

ადამიანი შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა და მას შეუძლია “შეიცნოს თავი, უმაღლესი გახდეს მისანი”, “ხეშმათონებით გაბრძნობილი მოძვარტ-მოძვარტი” (ბიბლიური რემინისცენები) (1,100).

“შზაკვარ, ცოდვილ სულში ვერ დაივანებს სიბრძნე” (სიბრძნე სოლომონისა, 1,4) (2,19), “ვერც შურიანი ეხიარება სიბრძნეს” (სიბრძნე სოლომონისა, 6,23) (2,23).

სიბრძნე “...ეწვევა უბიწო სულებს თაობიდან თაობაში და ღვთის მოყვარებად და წინასწარმეტყველებად განამზადებს მათ, რადგან ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს” (სიბრძნე სოლომონისა, 7,28) (2,24).

“უკვადვება სიბრძნესთან წილნაყოფობა” (სიბრძნე სოლომონისა, თ. 8,18) (2,24).

ნეტარი ავგუსტინე განასხვავებდა “ჭეშმარიტ სიბრძნეს” (1,39) და “ხორციელ სიბრძნისმეტყველებას” (5,49-50).

პავლე მოციქული საუბრობდა “ღვთის მრავალმხრივ სიბრძნეზე” (ეფესელთა, 3,10) (4,416), “სულიწმინდისგან მომავალ სიბრძნეზე”: “და ამას ვლაპარაკობთ არა ადამიანთა სიბრძნით შესწავლილი სიტყვებით, არამედ სულიწმინდისგან შესწავლილით, სულიერს სულიერად განვმარტავთ” (I კორინთელთა, 3,13) (4,359).

წმინდა მამა სულიწმინდის ძალას უსურვებს რომაელთ: “იმედის ღმერთმა ავაგოსთ ყოველგვარი სიხარულით და მშვიდობით რწმენაში, რათა სულიწმინდის ძალით იუხუთო იმედში” (პავლე მოციქული, რომაელთა, 15,13) (4,352).

...ამასთან ბიბლიური ბრძენი კითხულობდა: “კაცთაგან რომელი შეიცნობს ღვთის განზრახვას? ან უფლის ნებას ვინ მისწვდება?”

“რადგან უსუსურია მოკვდავთა ფიქრები და ჩვენი ზრახვები მერყეობა”.

“რადგან განსწრწნადი სორცი ამძიმებს სულს და ეს მიწიერი კარავი ტვირთად აწვეს ფიქრით სავსე გონებას” (სიბრძნე სოლომონისა, 9,13,14,15) (2,25).

დანტე აღიარებდა: “...შეძლებას, ნებისყოფას კაცთაგანის, ფრთებით ასხია უთანაბრო ძალმოსილების”, “მომაკვდავია მზეურა შენი, ხედვის უნარი” (6,138).

“სულის საყდრის” განახლებას, უხეიანის მადლის მიფენის, უხილავის გამოცხადებას, “შზიანი დამის” ანთებას, “სათავის” ხილვას ნატრობდა მერაბ კოსტავა: “...ღირსად მყავ შენი გამოცხადების, დამბადებულ და მაცხოვარო... მომადლდე ღექსით ადვსებულ გულის დაუშრეტელი ოქროპირობა. ცლაში მარჯვენა არ მომიცარო, აბჯრად ამასხი ძალი თმენისა, უკვდავებისა შთამასვი წყარო, შემასხი ფრთენი აღმაფრენისა” (შენ გვეკვდრები სულით გლახაკი) (1,23-25).

“სიბრძნისა და ჭეშმარიტების გზის” ჭვრეტა პოეტის იდეალი, რაც მოითხოვს სულის უმანკობას, ჯვრის ერთგულებას, მომხვეჭელობის დაგმობას, პირუთვნელობას, სიწმინდეს, “ღმერთის გეზის” ცოდნას, სულში სამების “გაერთარებას”, იდეალებისთვის მარტვილობას, უხეიანის მცნებების დაცვას (იყავ უმწიკლო, ვითა ცხოვარი) (1,54-55).

“სულიწმინდის თვალი”, “თვალნი გონის” დაჰყურებს პოეტს, რათა გზავარდინებზე გზა გაიკვალოს...“აზრების სოფელს” მხოლოდ “გონის თვალი” მომადლებულნი, წმინდა სულის ადამიანები იძიან.

ათეისტური ეპოქის უკეთურობათა მხილველ პოეტს აწუხებს ღვთის გზიდან გადახვევა: “ტაბართა სიბრძნე რად დაქინდა, რად დაქანა?”

განსჯის, მეცნიერების და ზნეობის დაცვებით ვერ მიიღწევა დადებითი შედეგები. თუ მეცნიერის სამუშაო მაგიდასთან საკუროთხველის სიწმინდე არ იქნა მიტანილი, მხოლოდ ბოროტება აღსვედება სინდისის და უხეიანის ცეცხლის (ღმერთის) უარყოფის ხარჯზე: “...და შედეგები არ იქნება შესაბამისი, განსჯამ ზნეობის საფუძველი თუ გადასძლია. სულია სისხლში სინდისის და ცეცხლის საწყისი და მომავლისთვის ბოროტებად შესარაცხია, მეცნიერებამ სამუშაო მაგიდა თვისი, წმინდათა წმინდა საკუროთხველად თუ არ აქცია” (ბიბლიური რემინისცენები) (1,94).

ლუარა სორდია, გაგრძელება შემდეგ ნომერში



სამადლობელი წერილი!

მოგესალმები ჩემო როლანდ! ღმერთის წყალობით ყველაფერი კარგად იქნება! ეხლა რაც შეეხება ჩემს შემოსხმანებას...

ჩემო როლანდ, ეს ყოველივე იმიტომ მოგახსენებ, რომ ზემოთ ვთქვი, და კიდევ გაგიმეორებ ამ ქვეყანას...

ანსორი დანელია

ბავშვობაში ჩაუთქვი, რომ გადაყენებულ ხარებს კალოზა დააბრუნებდი

რეზო სანიკიძეს სამეგრელოში, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეპაძამეში 2 წელიწადია...

რატომ აირჩიეთ ფერმერული საქმიანობისთვის თითქმის გადაშენების პირას მყოფი პირუტყვი?

როგორი მოსაველელი არიან?

თავიდან თხოთმეტი ქართული ფურ-კამეჩი შევიძინე ადგილობრივი გლეხებისგან...

რომელ პროდუქტებს ამზადებთ ფერმაში?

თითქმის ყველაფერს. ძირითადად, ყველს, რადგან უფრო გამოსავლიანია...

1 კილოგრამი კამეჩის ყველი ბაზარში ამჟამად 9 ლარი ღირს, შემოდგომა-ზამთარში 14 ლარამდეც ადის...

ყველაფერთან ერთად, ოჯახისთვის კარაქსაც ვამზადებთ, 500-გრამს მინიმუმ 5 ლიტრი რძე სჭირდება...

დაავადებებს როგორ უმკლავდებით?

ძალიან კარგად. ვერაფერს აკლებს ჯილფი, თურქული ბრუცელაზი...

უმკლავდება, სხვა ინდურ-აფრიკული თანამომკვებისგან განსხვავებით...

წარსულში კამეჩოვანს გაუწვლავდებოდა, უდაბნო ადგილად მოისხენიებდნენ...

როგორი მომავალი აქვს მეკამეჩოვანს?

სამწუხაროდ, როგორც მე ვიცი, ქიზიყშიც კი მკვეთრად შემცირებულია მათი რაოდენობა...

სააკაშვილმა კონსტიტუცია ვენესიის კომისიის გენერალის ავლით მიიღო და დანაშაული გუპიკოს დაჯილდოებით გამოიხილა

2010 წლის 4 თებერვალს, ვენეციის კომისიის თავმჯდომარე საქართველოში „ოქროს საწმისის“ ორდენით დაჯილდოვდა...

„უამრავი ნიუანსი იყო, მაგრამ მაშინ ამის ზუსტი განსაზღვრა და დადგენა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო...

სი კონსტიტუცია გვაქვს. ჩემი აზრით, არც წინა და არც დღევანდელი კონსტიტუცია ქვეყნის სტაბილურობას და სწორ განვითარებას ვერ უზრუნველყოფს...

ჯანი ბუკიკომ ახალი კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებისას გაიხსენა 2010 წელს განხორციელებული ცვლილებები და აღნიშნა, რომ კომისიას მაშინაც კრიტიკული შენიშვნა ჰქონდა...

„ვიმეორებ, კონსტიტუციის პროექტი კარგია. რა თქმა უნდა, არსებობს რიგი საკითხები, რომლის გაუმჯობესებაც შესაძლებელია, მაგრამ მთლიანობაში ეს კარგი ტექსტია და მე ძალიან მსურს, რომ ეს პროექტი მიღებული იყოს რამდენიმე და არა ერთი პარტიის მხარდაჭერით...

„გამოთქვი ჩემი მხრიდან მზადყოფნა და ჩვენი პოლიტიკური გუნდის მხრიდან მზადყოფნა, რომ გავაგრძელოთ ვენეციის კომისიასთან მუშაობა და ასევე პოლიტიკური დიალოგის მხრიდან ისმუნენ, რომლებმაც მწკანე შეუქმნეს 2010 წლის კონსტიტუციას, სადაც ყველაზე დამახინჯებული იყო დემოკრატიის ყველაზე მთავარი პრინციპები, რაც აბსოლუტურად მიუღებელია...“

პოლიტიკური აქტი – მხოლოდ და მხოლოდ, – განაცხადა გიორგი კვიციანიშვილმა.

მმართველი გუნდის ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი ვერ ხედავს შეთანხმების პერსპექტივას პრინციპულ საკითხებზე, რომელიც ქვეყნის სტაბილურობას და კრიზისის თავიდან აცილების უკავშირდება...

„პირადად მე და ჩემი გუნდის ბევრი წევრი ვერ ხედავს პერსპექტივას შეთანხმების, პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით. ზოგს მიაჩნია, რომ კრიზისის თავიდან აცილება შეიძლება პრობორციული სისტემით ჩატარებული არჩევნებით. ზოგი თვლის, რომ მთავარია პარლამენტს ჰქონდეს უნარი შექმნას სტაბილური მთავრობა...“

მმართველი გუნდის შეთავაზებას არასერიოზულს უწოდებს ოპოზიცია. „ვერობოვლი საქართველოს“ წევრი, ირაკლი აბესაძე ფიქრობს, რომ კონსტიტუციასთან დაკავშირებით პროექტში ასახული ცვლილებები, საბოლოო ჯამში, ვენეციის კომისიის პრეზიდენტის უკმაყოფილების მიზეზი გახდება, თუმცა უკმაყოფილება ქართულ საზოგადოებაში გაცილებით დიდია...

საზოგადოებას, არამედ საერთაშორისოსაც, ამბობდნენ, რომ ცვლიდნენ არსებულ უსამართლო სისტემას და ახლა გვეუბნებიან, რომ ეს უსამართლო სისტემა 2020 წელსაც იქნება გამოყენებული...“

კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე კონსტიტუციის შეფასებისას ამბობს, რომ ხელისუფლებამ პოლიტიკური კაპიტალისთვის ზარალი უკვე ნახა და ახლა დათმობაზე არ წავა. მისივე თქმით, საკონსტიტუციო ცვლილება ორი მომენტი მიღებულია, მესამე მომენტით შეიძლება კონსტიტუციური ცვლილება შევიდეს, მაგრამ ძირეულად არ შეიცვლება...

„გამორიცხულია ხელისუფლება რაიმე კომპრომისზე წავიდეს. ხელისუფლებამ დაკარგა პოლიტიკური ქულები თავისი პოლიტიკური კაპიტალიდან. მშვენივრად იცის და ყოველთვის იცოდა, რას ითხოვდა ოპოზიცია და საზოგადოებრივი სექტორი, მაშინ არ წავიდა დათმობაზე და დღეს რატომ უნდა წავიდეს ამ დათმობებზე? დათმობაზე ლაპარაკობს ბუკიკო, რომელსაც იმედი გაუჩნდა, თუმცა მე ეს უბრალოდ დიპლომატიური რევერანსი მგონია ქართული ოპოზიციური და საზოგადოებრივი სექტორისადმი. ბუკიკო თვითონაც დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება ამ კომპრომისზე არ წავა. მაშინ, როცა პოლიტიკურად მომგებიანი იქნებოდა მისთვის ასეთი ნაბიჯის გადადგმა, არ გააკეთა და დღეს, რომ გადადგას ეს ნაბიჯი, უკვე პოლიტიკურად წამგებიანია. იმდენად ნათელია, რომ ამას ხელისუფლებაც მშვენივრად ხედავს და ნაბიჯს უკან არ გადადგამს...“

თამთა ქარაზა

ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაჭამებული გმირი



(გაგრძელება წინა ნომრიდან)

ეს გახლდათ აშკარად თითქმის გამოწვეული “ჭეშმარიტება”. საომარ სულსიკვებობას ნამდვილად ვერ აამაღლებდა პროფესიონალი მეთაურების შეცვლა სამხედრო საქმის უცოდინარი, სათანადო განათლებისა და საომარი გამოცდილების არქონე კადრებით. სსრკ თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის მიერ ომის შემდეგ ჩატარებულმა ღონისძიებამ “გამოცდილების გაზიარება ჯარების საბრძოლო მდგომარეობაში 1941 წელს მოყვანის მხრივ დასავლეთის სამხედრო ოლქებში” გვიჩვენებს, რომ “1937-1939 წლებში დაწინაურებულმა ახალგაზრდა კადრებმა თავი ვერ გავართვეს მათ წინაშე დასმულ ამოცანას, დაიბნენ ომის წინა დღეებში შექმნილი მძიმე სიტუაციის გამო, რამაც გამოიწვია ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდძალი დანაკარგი საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში”.

მაგრამ, ესეც ცოტა იყო, და “სამხედრო საბჭო თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნევს, რომ საბოლოოდ იქნენ აღმოფხვრილი მტრულ ელემენტთა ნარჩენები” (ხელმოწერილია ტიმოშენკოსა და ხრუშჩოვის მიერ) (ტ. სირომიანისკოვი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ვეტერანი).

საინტერესო დრო გვაქვს სახეზე. თანდათან იცლება გამარჯვების შემოქმედთა გაღვრვა, უკვე ცოტას თუ ახსოვს მარშალი კ. როკოსოვსკი, რომ არაფერი ვთქვათ ლავრენტი ბერიაზე... ხოლო მათზე, ვინც დამარცხდა მთელი მსოფლიო ომში, საერთოდ არაფერს ამბობენ. თითქოსდა, ყველაფერი თავისთავად... სტალინს გამოეპარა... მაგრამ, ნურას უკაცრავად, ადრე თუ გვიან, სამშობლო მინც გაიგებს თავისი გმირი-მხედართაგან ვინაობას და მათ სახელებსაც, ვინც 30-იან წლებში სათავეს უდებდა დიდი სამამულო ომის დასაწყისის ტრაგედიებს.

როცა სსრკ შინაგომში ლავრენტი ბერიას დანიშნის შემდეგ რეპრესიები შეჩერდა, ხრუშჩოვის ამფონი მოსკოვისა და უკრაინის პარტიული და საბჭოთა მუშაკებისა და სამხედრო კადრების განადგურების საქმეში ა. უსპენსკი... გაიქცა და გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაზე. იმალდებოდა ურალში, ქალაქ მისასში შმაშკოვსკის გვარით.

1939 წლის 17 აპრილს ბერია ჩაწერა თავის დღიურში: “როგორც იქნა, ავიყვანეთ უსპენსკი. კობა კმაყოფილია, მთხოვა, რომ ბიჭები ჯილდოზე წარედგინო...” უსპენსკის ძებნისა და დაპატიმრების საქმეში მიღებული მონაწილეობისათვის შინაგომის სამი წარმომადგენელი დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით, სამს გადაეცა წითელი ვარსკვლავის ორდენი, ოთხი ჩეკისტი დაჯილდოვდა “საპატიო ნიშნით”, ხოლო დანარჩენ 25 თანამშრომელს მიენიჭა “საპატიო ჩეკისტის წოდება”, და წახალისებული იქნენ მორტივი სამხედრო წოდებით, სახელბითი იარაღით და ფულადი პრემიებით.

აი, ხრუშჩოვის კი, რატომღაც, არავინ არ ახლო ხელი და იგი პოლიტიკური

სივრცის სათავეში დარჩა. რატომ? როგორც ჩანს, ეს ცალკე საუბრის თემაა...

ბულაბო

(გულაგი, რუსული აბრევიატურა – ГУЛАГ – Главное управление лагерей)

შინსახკომის ხელმძღვანელად ლავრენტი ბერიას მუშაობის პირველივე დღეებში გადაიხედა სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცედურა. “სამეურვების” მიერ გასამართლებულებს ახლა შეეძლოთ განაჩენის გასაჩივრება, რომელიც ოც დღეში უნდა განხილულიყო. განსაკუთრებული სათათბირო სამდივნოში შეიქმნა განცხადებებისა და საჩივრების განყოფილება, რომელშიც დასაქმებული იყო 15 ადამიანი. ჯგუფურ საქმეებზე დაკითხული უნდა ყოფილიყო ყველა, ვინც მასში მონაწილეობდნენ. ათჯერ შემცირდა მოსამართლეთა მიერ განსახილველი საქმეების რაოდენობა – თუ ეკოვის დროს მოსამართლე “აცხობდა” 200-300 საქმეს (ფაქტიურად მხოლოდ განაჩენს კითხულობდა, მოწმების დაკითხვისა და საქმის განხილვის გარეშე). ბერიას დროს ნორმად იქცა სამუშაო დღეში მხოლოდ ათი საქმის განხილვა. ნიშნდობლივია, რომ ამ საქმეში რეფორმის გატარება დაევადა არა სსრკ პროკურატურას და უმაღლეს სასამართლოს, არამედ სსრკ შინსახკომს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბერია.

მაგრამ არ ღირს ბერიასათვის პუშკინისტი-ლიბერალის იარაღის მიწვევა. არა, ბერიას, უფრო ზუსტად კი – სტალინის სტირდებულმა მოქმედებებმა შინსახკომი. ბერიამ კარგად განჭვრიტა, ის რომ 200.000-300.000 ადამიანის ამნისტირება და თავისუფლებაზე ყოფნა უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა ქვეყანას, ვიდრე მათი ოხოლაციაში ყოფნა – ახლოვდებოდა ომი და სპეციალისტები ბრუნდებოდნენ ქარხნებში, ლაბორატორიებში, არმიასში. სწორედ ბერია გახლდათ იმის ინიციატორი, რომ გულაგი გადაიქცა საბჭოთა კავშირის სამეურვეო კომპლექსის მნიშვნელოვან ერთეულად. 1939 წლიდან შინსახკომი პატიმრობაში მყოფ ადამიანებს უყურებდა არა მხოლოდ როგორც კედელთან მისაყენებელ რესურსს, არამედ როგორც მუშა ერთეულს, რომელსაც, თუნდაც ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, წმინდად ადამიანური პოზიციიდან, უნდა მოექცეო მოწყალედ (უკვე 1939 წელს გულაგის სისტემაში პატიმრების ბუნებრივად სიკვდილიანობის შემთხვევები შემცირდა ორჯერ, ხოლო, 1941 წელს, 1938 წელთან შედარებით – სამჯერ).

აი, საზოგადოება “მემორიალის” არქივიდან ამოღებული დოკუმენტი, რომელსაც ნამდვილად ვერ დასწამებთ ლავრენტი ბერიასადმი სიმპათიას.

1940 წლის 25 დეკემბერს ბერია ხელი მოაწერა №001606 ბრძანებას “სსრკ შინსახკომის პენიტენციური რეზიდენციის ბანაკში არსებული მდგომარეობის შემოწმების შესახებ”, სადაც აღნიშნული იყო, რომ “პენიტენციური რეზიდენციის ბანაკში საყოფაცხოვრებო საკითხებიდან დასაწყისად და მოკიდებული უნდა იქნას პატიმრების შრომითი გამოყენების შედეგად განსაკუთრებით გაზრდილი დაავადება პატიმრებს შორის და მათი სიკვდილის შემთხვევები. ბანაკის უფროსმა ბოლშაკოვმა და ოპერატიული ჩეკისტური განყოფილების უფროსმა იუგოვმა დროულად არ ჩააყენეს საქმის კურსში სსრკ შინსახკომის ხელმძღვანელობა არსებული მძიმე მდგომარეობის თაობაზე და არ მიიღეს დროული ზომები პრობლემების აღმოსაფხვრელად”; ამავე ბრძანებით გ.პ. ბოლშაკოვი დათხოვილი იქნა თანამდებობიდან, მისი მოვალეობის დროებით შემსრულებლები კი გახდა რეზიდენციის მთავარი სამმართველოს უფროსი, უშიშროების მაიორი ს.ა. ჩესნოკოვი, რომელსაც დაევადა, რომ სასწრაფოდ შეეტანა კოჟეა-სინიას და აბეზის მონაკვეთებზე მედიკამენტები, კვე-

ბის პროდუქტები და ტანსაცმელი, განსაკუთრებით ძალაგამოცლილი პატიმრებისათვის დაენიშნათ გაძლიერებული კვება, გაეშალა საბინაო-საყოფაცხოვრებო და სამკურნალო-სანიტარული ობიექტების მშენებლობა და უმოკლეს ვადებში უზრუნველყო პატიმრები სათანადო სანიტარული და საყოფაცხოვრებო მომსახურებით. გულაგის მთავარი სამმართველოს უფროსს პ.კ. საფონოვს, და რეზიდენციის მთავარი სამმართველოს უფროსს პ.კ. ხუდიაკოვს დაევადა, რომ სასწრაფოდ გაეგზავნათ პენიტენციური ბანაკში მყოფი პატიმრებისა და ავადმყოფებისათვის 150 ტონა ახალი ხორცი, 15 ტონა კარაქი, 15 ვაგონი კომბოსტოს მწნილი, 30 ტონა საფუარი და საჭირო რაოდენობის ბისტრენული. გულაგის პოლიტსამმართველოს უფროსს, უშიშროების კაპიტან მ.ე. გორბანოვს დაევადა ორი თვის განმავლობაში დაედგინა პატიმართა შორის დაავადებებისა და სიკვდილიანობის დიდი რაოდენობის მიზეზი და დაგეგმულიყო მიეცა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ამავე ბრძანებით რეზიდენციის მთავარი სამმართველოს უფროსი ნ.ა. ფრენკელი გამოძახებული იქნა ახერბაიჯანში რეზიდენციის ხაზის მშენებლობიდან და მივლინებული იქნა პენიტენციური შრომა-გასწორებით ბანაკში, რათა დროულად დაემთავრებინათ ჩრდილოეთ პენიტენციური რეზიდენციის მშენებლობა.

უკვე მომდევნო წელს, პენიტენციური რეზიდენციის შრომა-გასწორებით ბანაკის შემოწმების შემდეგ გამოიცა 1941 წლის 30 აპრილის №0220 ბრძანება (ამავე ბრძანებით პენიტენციური ბანაკის ახალ უფროსად დაინიშნა ნ.ფ. პოტიომკინი), რომელშიც ეწერა:

“სსრკ შინსახკომის მიერ პენიტენციური ბანაკის შესამოწმებლად გაგზავნილმა კომისიამ გამოავლინა რიგი დანაშაულებრივი ქმედებებისა ბანაკის ყოფილი ხელმძღვანელის ბოლშაკოვის, მისი მოადგილის გოლდმანის, საკონტროლო-საგეგმო განყოფილების უფროსის კაირვეიხის და სანიტარული განყოფილების უფროსის ნოვოსადოვიას მიერ, რამაც 1940 წლის მიწურულისათვის ბანაკში შექმნა აუტანელი მდგომარეობა და ჩაიშალა 1940 წლის მეოთხე კვარტლისა და 1941 წლის პირველი კვარტლის გეგმები.

მითითებული პირები დაპატიმრებულნი არიან, წარსდგებიან სასამართლოს წინაშე და მკაცრად დაისჯებიან. უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ შინსახკომის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 1941 წლის დასაწყისისათვის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა და ბანაკი მზადყოფნას გამოთქვამს, რათა წარმატებით დაასრულოს პენიტენციური რეზიდენციის ხაზის მშენებლობა”.

1940 წლის 25 დეკემბერს ბერია თავის დღიურში ჩაწერა:

“ხელი მოვაწერე ბრძანებას პენიტენციური ბანაკზე. ბოლშაკოვს გავასამართლებთ და დაეხვრეტ... ჯანდაბამდეც კჭონია გზა. ბანაკი დასახვერებული ხახლი არ არის, მაგრამ შე არაკაცო, შენ ხომ ადამიანებთან გაქვს საქმე? ისინი ისედაც მრავლად იხილებიან – რას იზამ, მძიმე სამუშაოა, ისინი კი დამნაშავეები არიან. მაგრამ შენ ხომ პასუხს ატეხ მათზე. შენ მახიურად ხოცავ ადამიანებს და სახელმწიფო გეგმის შესრულებას საფრთხის ქვეშ აყენებ. ორგანიზაციის დამნაშავე ხარ”.

1942 წლის 15 აგვისტოს ბოლშაკოვი გაასამართლა სსრკ შინსახკომმა და მიუსაჯა დახვრეტა, რომელიც სისრულეში იქნა მოყვანილი 1942 წლის 12 სექტემბერს.

მაგრამ, “პერესტროიკის” წლებში იგი რეაბილიტირებული იქნა...

გულაგის შიგთავსი შერყენილად ახსნა კიდევ ერთმა ცილისმწამებელმა ა. სოლჟენიცინმა, რომელმაც სასტიკი ფერებში

წარმოგვისახსა ეს მცნება და საზოგადოებრივ შემეცნებაში მას დაუმკვიდრა ადგილი როგორც სტალინის მიერ შექმნილ საწამებელ კამერას.

ცნობისათვის. ხინამდვილეში საკონცენტრაციო ბანაკების გამოშვებები იყვნენ ანგლოსაქსები, როცა სესილია როდისის (“მრგვალი მაგიდას”) მომავალი შემქმნელი, რომელიც შემდეგ გადაკეთდა “საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოლდ”) ზურგს უკან მდგომარეობა ოპენჰეიმერებმა და როტშილდებმა გაახადეს ინგლის-ბურების ომი სამხრეთ აფრიკის რესურსების დასაუფლებლად. იღვა მოდიოდა ლორდ კიტჩინერისაგან 1899-1902 წლის ინგლის-ბურების ომის პერიოდში. “კონცენტრაციის ბანაკების” შექმნის მოტივი გახლდათ ბური პარტიზანებისათვის დახმარების მიწოდების არსების გადაკეტვა, რა მიზნითაც ბური ქალები და ბავშვები იზოლირებული იყვნენ აღნიშნულ ბანაკებში. ესენი პრაქტიკულად განწირული იყვნენ სიკვდილისათვის, რადგან ბანაკების მონარაგება თითქმის ნულზე იყო დაყვანილი. ბანაკებს ცინიკურად ეძახდნენ *refugee*-ს (“გადარჩენის ადგილი”). ამრიგად, ინგლისის მაშინდელი ხელისუფლების ამზრუნველ არაადამიანური განმარტებით ეს საკონცენტრაციო ბანაკები აღედგინა “ბურების რესპუბლიკის მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას”.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ეს “მოწინავე იღვა” გადაიღეს ლენინებმა-ბოლშევიკებმა, როცა გამოსწორების მიზნით სოლოვეის კაზემატებში მოათავსეს რუსული ინტელიგენციის ნაღები, საიდანაც ძალიან ცოტამ დააღწია თავი ცოცხალმა და გადაურჩა სვერდლოვის მიერ გამოცხადებულ “წითელ ტერორს”. ეს სინდრომი თავს იჩენს 1937 წელს, ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების შემდეგ, რასაც მოჰყვება სასტიკი რეპრესიები.

რაში მდგომარეობდა გულაგის ეკონომიკის შექმნის ეკონომიკური მიზანი? პირველი და მთავარი მიზანი გახლდათ ის ბანალური “პოლიტეკონომიკური მიზეზი”, რომ ქვეყანას არ გააჩნდა ინდუსტრიულიზაციის ჩატარებისათვის აუცილებელი ვალუტა. ახალი ხელისუფლების ტროცკისტ-ლენინელთა ნაღებმა 1924 წელს საბჭოთა კავშირიდან გაიტანა რუსეთის იმპერიის ოქროს მთელი მარაგი, რომელიც მთლიანად მათ დარჩათ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თვითმხილველთა გადმოცემით, როცა სტალინი კომპარტიის (ბ) ცკკას პირველი მდივანი გახდა და თანდათან იწყებდა ძალის მოკრებას, დატაცებას გადარჩენილი სახელმწიფოს ოქროს მარაგი ძველი ბოლშევიკის სტასოვას სახლში გადაიტანა და იქ საკუთარი დაცვა დაუნიშნა... სახსრების კატასტროფულმა დეფიციტმა გამოიწვია ეკლესიისათვის ოქროს ნივთების ჩამორთმევის და მოსახლეობიდან ოქროს “ექსპროპრიაციის” პროცესების ფართოდ გაშლა, ტორგსინების (торговля с иностранцами) სავაჭრო ქსელის განვითარება და უკიდურეს ჩრდილოეთში საბადოების ათვისების სამუშაოთა გააქტიურება.

აქ იმალება სტალინის მობილიზაციის სისასტიკის კიდევ ერთი ეკონომიკური მიზეზი. გლობალური ბაზრების დაუფლებისათვის გამართული პირველი მსოფლიოს ომის შემდეგ კაპიტალისტურმა სისტემამ დაახსნა რუსეთი (რომელიც იყო ანტანტის – ე.ი. “გამარჯვებული ქვეყნების კოალიციის” წევრი) როგორც კონკურენტი და “უბიძგა” მას ჩრდილოეთისაკენ.

თარგმანი როლანდ ჯალალნიასი, (გაგრძელება იქნება)



ციკლიდან „ყოველი სული აქვს ერთი უფალსა...“

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი



ქენჯნის თვითგვემში გამოგლოვილი „ხარსა მეკალოესა პირსა ნუ დაუკრავ“.

„ვერ მოერევი შენ იმას, ვინაც დღე გამოწყვილიდა“.

„მზერას მტაცებს საყდარი. ველზე გათხრილ სამარეს ვაკვირდები შორიდან, როგორც მიწის ჭრილობას“

1944 წლის ნამაისევს ხოთო დარსალიას სოხუმის რაიონის სოფელ გვარდაში გამოთხოვილი ქალიშვილისაგან, - ნორასგან შვილიშვილი - ჯანიკო შეეძინა. ხოთოს სიძე პილულა კაკაჩია კოლმეურნეობის აგრონომი იყო (იგი წარმოშობით ოჩამჩირის სოფელ კვიციანიდან გახლდათ. მისი პაპისპაპანი ქიანის ეკლესიის (იმავე ოჩამჩირის რაიონი) წმინდა მთავარანგელოზის ხატის სულიერი შვილები და მსახურები იყვნენ ჯერ ქიანში (ქუა ჩე ანუ თეთრი ქვა), შემდეგ სოფელ ობუჯში (წალენჯიხა), როცა ამ მადლმოსილი ხატის გახიზნვის გასწვრივ კაკაჩიების ერთი შტო აქ დამკვიდრდა. შემთხვევითი არაა, რომ „პაკი აბბას“ ავტორის ფსევდონიმი ქიანელია. კაკაჩიათა წინაპრებმა 1683 წელს მომხდურთა მიერ ქიანის დარბევის დროს დიდი გმირობა ჩაიდინეს და აქვე, ეკლესიაში დავანებული ქიანის წმინდა მთავარანგელოზთა ხატი - ილორის წმინდა გიორგის მადლმოსილ ხატთან ერთად აფხაზეთში უმთავრესი სულიერი სიწმინდე რომ იყო, - გადაარჩინეს. ქიანის ტრაგედიაზე ცნობებს გვაწვდის იერუსალიმის იმ დროინდელი პატრიარქი დოსითეოსიც (სხვათაშორის კაკაჩი ანუ მეგრული „კაკაჩანს“ კაშკაშის, ნათების მნიშვნელობით გადავიდა აფსუურ მეტყველებაში, მეტიც, მათ „დელაენას“ „აკაკან“ ერქვა. ეს ისე, კაკაჩიათა გვარის სქემატური განმარტებისთვის). მივევთ დაწვეულ ამბავს: ვაჟიანობით გახარებულმა ხოთომ იმ დღესვე შეკახმა ცხენი, ჩააბა თოკი წინა კვირას პირველ ხომოგებულ ირემას, გამოისაგზავნა სალომე ფქვილი, შებოლილი სულგუნი, შაშხი, ორნახალი არაყი, საღომე და სალომე კარდილები, ღობიო, ჯიმკაკილი (მას აჯიმკაკილს ანუ აჯიკას ეძახიან სააფხაზოში შემოხიზნული აფსუები და არამეგრული საკმაზი ჰგონიათ უვიც „მკველეკარებს“). ეს ყველაფერი კეხზე დაამაგრა, ზედ მეჯოგის ნაბადი მიაბარა, ამის შემდეგ მშობლიური ნაფიხიდან (ჩხორაწყუ) სოხუმისკენ სვენებ-სვენებით გამოაბაღახა შვილიშვილისთვის მისაჩუქრებული ძროხა და ხბო. გამოცდილი მეჯოგე ათიოდ დღეში მშვიდობიანად მიადგა გვარდას. ირემამ თვრამეტი წელი - 1944 წლიდან 1962 წლამდე დედობა გაუწია ადრე დაქვრივებული ნორას 4 შვილს, ნაგრამით აავსო კაკაჩიების ეზო-კარმიდამო.

სწორედ იმ 1962 წელს მოუსწრო საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს სოფლის მოსახლეობას სკკპ ცკ-ის პირველი მდივნისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს ყოველად უგუნური, მაგრამ ვირეშმაკი ნიკიტა ხრუშჩოვის მანებლურმა დადგენილებამ, რომლის მიხედვით კოლმეურნეობს პირად მეურნეობაში ეხლუდებოდათ შინაური ცხოველების (ძროხის, კამეჩის, ცხვრის, თხის, ღორისა და ა.შ) ყოლა (ერთ ან, პა და პა, - ორ სულს უნდა დასჯერებოდნენ). აქედან გამომდინარე, კერძო მეურნეობისთვის გამოყოფილი საბაღახოები კოლმეურნეობების სათიბებს მიუერთეს, ხოლო პირადი სარგებლობისთვის ხრიოკი დაუტოვეს გლეხებს. თავს ზემოთ ძალა არ იყო და ამით სასოწარკვეთამდე შეჭირვებული გლეხები იძულებული შეიქმნენ პირუტყვი სახელმწიფოს ხორცკომბინატებისათვის ჩაღის ფასად ჩაებარებინათ. საქონლის ხოცვამ უმოწყალო და შემაძრწუნებელი ხასიათი მიიღო. ირემა, რომელიც სხვებთან ერთად ამ გაუსაძლისობაში აღმოჩნდა, ასაკს არ შეეპუა და იმ წელსაც დამაკდა. ერთ დღეს ნიკიტა ხრუშჩოვის დადგენილება ირემამ სულ ფეხზე დაიკიდა, თოკი აიწვევინა და კოლმეურნეობის სათიბად გამოცხადებულ რუხერვაციაში, სადაც წინა წლებში უდარდელად ბაღახობდა, საგანგებო აკრძალვის მიუხედავად, დღისით-მზისით, კვლავ მოსაძოვად გადავიდა. რა თქმა უნდა, მან არ იცოდა, რომ ეს იმეამად დასჯადი ქმედება იყო. საბედისწერო რისხვამაც არ დააყოვნა: მისთვის სათანამდებოდ გაპიროვნებულ ცხენზე აბოდმისქოთნებული კოლმეურნეობის მეველის - გალუსტ სოციალის საავმოსურნეო მზერამ სავაგლახოდ დაინახა სკკპ ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს კანონის საწინააღმდეგოდ თოკაწვეტილი ძროხა, რომელიც სულ სახრის ცემითა და გინებით, გვარდის დამრეცზე სირბილით ამოადმართების შემდეგ, მიაღიდაუთენია კოლმეურნეობის გამეგობაში. ეზოს მესერზე დასასჯელად მიბმულ ირემას, შეადღის პაპანაქება და მზის მცხუნვარება, უწელობა, უნრდილობა, გალუსტის ნასახრალი და აღმართზე უმოწყალო ამორბენა, - ასე სასტიკად რომ დაატეხეს თავს, მაკეობის მოშლად მიუერთბაშა. ყოველად გაუმართლებელი ავმოსურნეობისაგან გაწამებულ პირუტყვს ადამიანთა გულქვობა გაესასტიკა: იგი, მოკლედ მიბმული ღობეს, უპატრონოდ იცლებოდა სისხლისგან. ამ დღეში მყოფი ვიდაც ხვთისნიერს უცვინა და ნორას აცნობა. სანამ ჭაღებში ძროხის მაქებარ გაწამებულ ქალს ხმა მიაწვდინეს და ის კოლმეურნეობის გამეგობაში ამოსავათა, სანამ ვერტიკიმს დაუძახეს და ისიც რომელიდაც ტაბაკიდან გამოისხმეს, საქმე უიმედობისკენ გადაიხარა, - ირემა ფეხზე ვერ დგებოდა.

ვერც ვერტიკიმმა თქვა რაიმე სანუგეშო, - დაკვლათო... ამაზე ნორა გადაირია, რას ქვია დაკვლათო... თუ კვდება, თავისი სიკვდილით მოკვდეს, ამ ცოდვას ვერ დავიდებ, ჩემი ოთხი შვილის გამზრდელ ძროხას დანას ვერ გამოვუსვამო... ამასობაში დაღამდა. ნორა გვერდით მიუჯდა ირემას, მისი თავი კალთაში ჩაიღო და მოეფერა, ძროხა მიენდო. მთელი დამე ასე გაატარეს. რამოდენიმე მეზობლის ქალი, რომელიც მასთან ერთად უტეხდა ღამეს ირემას, ცდილობდა სისხლგამშრალი ნორა იქვე მოსახლის სახლიდან გამოტანილ სავარძელზე გადაეხვია, მაგრამ ამოად. დილით საბჭოს თავმჯდომარემ - კოლია შონიამ გამოიარა. ეს მდგომარეობა რომ დაინახა, სვეგამწარებულ ქალს ურჩია, - სულ რომ არ იზარალო, ხორცკომბინატში ჩავაბაროთ, სწორედ დღეს, ერთ საათში მიგვეყავს ჩასაბარებელი პირუტყვიო. თავდაპირველად თავმჯდომარის კეთილმოსურნეობას აღშოთებით შეხედა და არ დაეთანხმა ნორა, - მოკვდეს და დაეძარხავო, მაგრამ ქალების ჩინინმა, ნუ ხარ სულელი, შვილებს რატომ უკარგავ ლუქმასო, ჯერ შეაყოვნა, მერე ჩააფიქრა, შემდეგ კი საადამიანო განსჯით ააწონდააწონია მდგომარეობა. ამასობაში კიდევ ერთხელ, მამაშვილურად მოადგა თავმჯდომარე, დაუყვავა, მოუფერა, გულში ჩაიკრა, შენი მესმისო, უთხრა, - მაგრამ ზარალი ზარალია და შვილებს მთლად ნუ აზარალებ, ეს ორიოდ კაპიკი სასექტემბროდ წაადგებათო. ასე და არიგად, ამ თავზართ გულამოხდარ და ცრემლადქცეულ ნორას გაუთილეს იმ ნაბიჯის გადადგმა, რომელიც კაცთა მოღვაწეში ჭკვიანურ და თადარიგაან წინგახედვადაც კი ითვლება. ნახევარ საათში სატვირთო მანქანა მოაყენეს. ხუთი ვაჟიაცი დასჭირდა ძროხის აყვანას, უფრო სწორად, დახუნკებული პირუტყვის ატანას მანქანის ძარაზე. როდესაც ნორამ გამოსამშვიდობებლად შუბლზე საბოლოოდ გადაუსვა ხელი, მერე მიბრუნდა და უკანმიუხედავად გაეშურა გვარდისკენ, მხოლოდ მაშინ, ირემამ, რომელსაც, მძიმე ტკივილების გამო, მანამდე ერთხელაც არ დაუხუნვია, წელმოწყვეტის მიუხედავად, მაინც მოიკრიფა სასწაულებრივად მოძიებული ძალა და თავისით აიმართა ოთხივე ფეხზე, მაგრამ თავი ვერ დაიმორჩილა და უკანა ფეხებზე ჩაიკვდა, მერე სატანჯველი ტკივილი კვლავ სძლია, წინათი შეიმგერა თავი, განწირულად მიაბღავლა ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ნორას და გაწიბლებული თვალებიდან საცოდავად გადმოაკოკისპირულა ცრემლები. იმ საღამოსვე კოლია შონიამ ბრიგადირის ხელით გაუგზავნა ირემას საფასური, რომელიც ხორცკომბინატში ხორცის წონის შესაბამისად გაუნადგეს. გავიდა დრო. იგი ნელ-ნელა ყველას მიავიწყდა. ის იყო მხოლოდ, მისი ნაშეირის ერთ-ერთ ხბოს დაარქვეს ირემა. ამის შემდეგ ზუსტად 31 წელი გავიდა. ნორაც სხვებთან ერთად აღმოჩნდა დევნილობაში. უფროს შვილთან და შვილიშვილებთან წენეთში დამკვიდრდა. წლებმა თავისი ქნეს, ნატანჯეს, ნაჯაფსა და დაბერებულს სკლეროზი დაემატა. იმ ზომამდე დაკარგა მესხიერება, რომ არა თუ თავისი ახლობლების, საკუთარი ვინაობაც არ ახსოვდა. ერთი უცნაურობაც დასწამდა: ხელზე შემორჩეულ კნუტს აიყვანდა საღამოსობით და ხმამაღლა იტყოდა, - წავედიო ახლა მე ირემას სამებნელად, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, გამოვიდოდა ეზოში და გულის გამყინავი შემაძრწუნებლობით გასძახებდა მისი საწუხარისათვის ყურდასობილ მიდამოს, - ფში, ირემა, მორთი აშო, სორექ, ჩქიმ ძღაბი?!* - ფში, ირემა, მოდი აქ, სად ხარ, ჩემო გოგო?!

მე შენ მიყვარხარ ადამიანო

შენს არსებობას მაშინ აქვს აზრი, თუ შენი სული მზისებრ მზიანობს. ტყვედ თუ არ იქვეც მონათა ბაზრის, თუ არ გიყიდეს ადამიანო.

ამ ქვეყნად ერთი ცხოვრებით ცხოვრობ, - სული სპეტაკი არ აზიანო. უნდა იცოდეს თუ ვისთვის შრომობ, მერმისს, რომ შერჩე ადამიანო!

სამშობლოსათვის თუ კი არ იღვწი, მაშინ ქართველი არა გქვინო. კუჭის გულისთვის სულს ნუ გაიხრწნი, სულს გაუფრთხილდი ადამიანო!

ადარ ემონო ქვეყნად უკეთურს, თუ გსურს სიმართლის გზებით იარო. მაშინ გიწამებს ხალხი უკეთუ, რწმენას შერჩები ადამიანო!

დროზე შემოპკარ განგაშის ზარებს, სიტყვის თქმა ადარ დააგვიანო. თორემ მომეც კი არ გაგიკარებს, მხლალს და მშიშარას ადამიანო!

ხორცის ცდუნებას ნუდარ აყვები, არ ღირს, რომ სული ანაგვიანო. თუ კი ბოლომდე შენს გზას გაყვები, მაშინ გიწამებ ადამიანო!

ეს სულერთია ჩემთვის ვინა ხარ, ანდა სახელად შენ რა გქვინო; მე შენ მიყვარდი, მე შენ მიყვარხარ და მეყვარები ადამიანო!

სიყვარული

უსიყვარულოდ მე ადარ მჯერა, ცხოვრების შნო და ლაზათი მისი. უსიყვარულოდ ვინ დაიჯერა, ქართული ლექსის თვით დადაღისი.

სიყვარულია ქვეყნის სადავე, კაცობრიობის დედა - მშობელი. მშვიდობის ბურჯი, წყარო - სათავე და ყოველ არსთა შემამკობელი.

ბიჭი კველია აბაშა

ვა მიჩქ, დუღ სო მიკვოტახსა

ამდღა ზუგდიდს გიღვოქანცა, შურ დო გურით შულადირი, მითინს ვაჟქ, მუ ელამიძ გურიშ ტომბას ჩუალირო... ვა მიჩქ, დუღ სო მიკვოტახსა, გიღვობარჯა სოდგა - სოდგა, ომარგალე ვა მიყორდასენ დუს ქირქეშა გეგნიპოთა!.. რამაზ კუპრავა მიჩქ, დუღ სო მიკვოტახსა ამდღა ზუგდიდს გიღვოქანცა, შურ დო გურით შულადირი, მითინს ვაჟქ, მუ ელამიძ გურიშ ტომბას ჩუალირო... ვა მიჩქ, დუღ სო მიკვოტახსა, გიღვობარჯა სოდგა - სოდგა, ომარგალე ვა მიყორდასენ დუს ქირქეშა გეგნიპოთა!..

სმრბი საჯაბი **რამაზ კუპრა**

რუსეთში პიზიზის ბაზარი

„პატრიოტთა ალიანსის“ გადაწყვეტილებამ რუსეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით, დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში. იყო ნიშნისმოგების მსგავსი განცხადებებიც – ხომ ვამბობდით, ესენი რუსეთის აგენტები არიან, მესხეთე კოლონა, გამყიდველები და ა.შ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ „ნაცებში“ და მისი წიაღიდან გამოსული პარტიები, პარლამენტსკარეთ დარჩენილი პარტიების ნაწილი და მმართველი პარტიის წევრებიც კი – ცხადია, ნაკლებად ემოციურად, მაგრამ აშკარა საწინააღმდეგო მოსაზრებით.

„პატრიოტთა ალიანსის“ სამმა წევრმა, პარლამენტის დეპუტატებმა შეხვედრები გამართეს რუსეთის დუმის გავლენიან წევრებთან და განიხილეს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც აწუხებს ორივე მხარეს, განსაკუთრებით ქართულს და გამოთქვებს სურვილი, რომ ადღგეს დიალოგი ქართველ და რუს პარლამენტარებს შორის. ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნატეხილი ხიდის აღსადგენად საერთო ძალისხმევაა საჭირო – მეტი კავშირები, მეტი ლაპარაკი, დაახლოება და საგნობრივი მოლაპარაკებების გამართვა, რასაც ადგილი არ აქვს და არც ჰქონია არც სააკაშვილის და არც „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში.

გაუცხოების ახალი ტალღა 2008 წლის ომის წინა პერიოდში და შემდეგ აგორდა, რასაც მოჰყვა რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. მაშინ სააკაშვილის ხელისუფლებამ ბევრი ეცადა რუსეთის საწინააღმდეგო PR-კამპანიის ასაგორებლად. და ააგორა კიდევაც, უცხოელი პარტნიორების დახმარებით.

ომმა და მასთან დაკავშირებულმა PR-კამპანიამ მიადღია თავის მიზანს – რუსეთის გაშვებას, რაც დღემდე წარმატებით მოქმედებს, მაგრამ ამასთანავე გამოავლინა ომის დაწყების მთავარი შემოქმედი სააკაშვილი, რომელიც დღესაც მტკვრის აყრის ხალხს თვალში შინ თუ გარეთ და დაბეჯითებით უმტკიცებს მას, რომ აგრესია რუსულია, ისე, როგორც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია.

რაც დრო გადის სააკაშვილი და მისი გუნდი პერმანენტულად, თავდაჯერებით იმეორებს ზემომოყვანილ ვერსიას და როდესაც საწინააღმდეგო მოსაზრება არ ჩანს, ხალხს აიძულებს, როგორც შინ, ისე გარეთ დაიჯეროს მისი (საკაშვილის) „სიმართლე“.

ხალხიც იჯერებს, ზოგიერთთა გამოკლებით, ვინაიდან ქართული მედიის წყალობით დიდი დონით აქვს მიღებული სააკაშვილის ვერსია და ამასაც რომ არ ჰქონდეს ადგილი, ხალხს მაინც ურჩევნია უდანაშაულოს, დანაგრული კრავის სახელი ატაროს, ვიდრე ომის დამწყებებს, აგრესორის. სწორედ ამიტომაც ის არაფრად თვლის ვერსიის მიერ შექმნილი საგამოძიებო კომისიის (ტალღის ხელმძღვანელობით) დასკვნას, სადაც ხაზგასმითაა ნათქვამი, ვინ დაიწყო ომი.

2008 წლის ცხინვალის ომი არ ყოფილა რაღაც რევიონული კონფლიქტი ისეთი, როგორსაც არცთუ იშვიათად აქვს ადგილი დედამიწაზე. ის დიდ პოლიტიკაში ახალი ეთნოს დაწყების მანიშნებელი იყო. სწორედ 2008 წლიდან დაიწყო რუსეთის შემობრუნება დიდ პოლიტიკაში. მანამდე ის, აშშ-ს წყალობით, ფიქტიურად ითვლებოდა დიდი პოლიტიკის მოთამაშედ, რაც „დიდი რეიონის“ წევრობაში გამოიხატებოდა.

2008 წლის ომს არაერთი იტაკქვეშა ავტორი ჰყავს. მათ შორისაა ამერიკელი პოლიტიკოსები, რეაქციური ორგანიზაციები, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების წარმომადგენლები. ყველა მათგანს აინტერესებდა რუსეთის რეაქცია – ჩაეღაპავდა თუ არა ის სააკაშვილის თავდასხმას და თუ არა, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა. რუსულმა სწრაფმა სამხედრო ნაბიჯმა, ქართული ჯარის განადგურებამ, ტერიტორიების დაკავებამ, მძიმედ იმოქმედა დასავლეთზე, რასაც უმაღლესი მოჰყვა ანტი-რუსული პროპაგანდა.

სხვა მხრივ დასავლეთი, კერძოდ აშშ-ი, მზად არ აღმოჩნდა მოკავშირე საქართვე-

ლოს დასაცავად. დასავლეთმა თავი შეიკავა საქართველოს სამხედრო დახმარებისგან, რაც უდავოდ საზრიანი გადაწყვეტილება იყო, რამეთუ მას მოჰყვებოდა რუსეთ-ამერიკის სამხედრო დაპირისპირება.

ომის მოგების შემდეგ, მოსკოვის მხრიდან იყო მოწოდებები საქართველო, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოლაპარაკებების დაწყებაზე, მათი საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის სტატუსის შესაბამისად და, რაზეც ქართულმა მხარემ ქვა ააგდო და თავი შეუშვარა. პირიქით, ახალი აგრესიის განხორციელების რიტორიკა მოაყოლა, რაზეც რუსეთმა თავისებურად უპასუხა – აღიარა რა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ ქვეყნებად.

რუსეთმა გაუძლო დასავლურ ანტირუსულ პროპაგანდას, დასავლეთთან ურთიერთობების დაძაბვას, გაუარესებას, რითაც დაარწმუნა ის, რომ საბჭოთა კავშირის მემკვიდრე, აღარ იყო დამოკიდებული, ადვილად მოსათოკი, როგორც პრეზიდენტ ელცინის დროს. რუსეთი მზად იყო გაეტარებინა ისეთი პოლიტიკა, რომელიც უპირველეს ყოვლისა მას წაადგებოდა და არა სხვას. 2008 წლის ომის მოგებით რუსეთმა თავისი მოთხოვნა და მასთან ერთად რიდი და პატივისცემა დასავლეთის მხრიდან.

2008 წლის ომის დამთავრებიდან სულ რაღაც თითხე ჩამოსათვლელ კვირაში, თურქეთში, კერძოდ დედაქალაქ ანკარაში, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი ომისადმი და მისი შედეგებისადმი, რომელშიც მეც ვიდედი მონაწილეობას ყველა იმართან ერთად, ვისაც სიტყვა ეთქმოდა კავკასიაზე. კონფერენციაში აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ეს, ის კონფერენციაა, რომელმაც პირველმა დააფიქსირა რუსეთის ხელისუფლების ამბიციები და თურქეთის გააქტიურება საერთაშორისო არენაზე, კერძოდ რევიონში.

მას შემდეგ ბევრმა წყალობა ჩაიარა. ამ ხნის განმავლობაში გაძლიერდა რუსეთის სამხედრო პოტენციალი, განხორციელდა არმიის მოდერნიზაცია, ახალი იარაღით აღჭურვა, გაუარესდა ნატოსთან ურთიერთობა, ისე, როგორც აშშ-თან.

2014 წლის უკრაინის მოვლენებმა, ხელისუფლების დამხობამ, ყირიმის მიერთებამ და დონბასისადმი მხარდაჭერის გამოხატვამ, ძირფესვიანად შეცვალა საერთაშორისო არენაზე რუსეთის პოლიტიკა, იმიჯი, საკამათო საკითხებისადმი მიდგომა და სხვა.

დღევანდელი რუსეთი ანგარიშგასაწევი ქვეყანაა, გაცილებით ძლიერი, ვიდრე ბევრი სხვა, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკის თვალსაზრისით. რუსეთის აზრს იზიარებენ – უნდათ თუ არა, რაც „შიში შეიქმნის სიყვარულს“ აშკარა გამოვლინებაა.

2008 წლიდან 2014 წლამდე, სულ რაღაც 6 წელზე ცოტა მეტი გვაშორებს, მაგრამ დროის სიმცირის მიუხედავად, რუსეთმა შეძლო ავტორიტეტის მოპოვება მთელს მსოფლიოში. აშშ-ა ვერ მოახერხა ანტი-რუსული მოქმედებით, 2014 წლის შემდეგ კი ანტირუსული პროპაგანდის მასშტაბები რუსეთის სივრცეში გაიზარდა. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა აშშ-ს 3 პრეზიდენტი მოინვლა და მეოთხეზე გადავიდა, თავსაც კარგად გრძნობს და რეიტინგიც მაღალი აქვს.

თვალშისაცემია კრემლის აქტიურობა საერთაშორისო ურთიერთობებში, ეკონომიკური კავშირები პატარა თუ დიდ ქვეყნებთან. რუსეთის წინააღმდეგ დარაზმული დასავლეთი, ანტირუსული სანქციებით, რიტორიკითა და პროპაგანდით, ვერაფერს ხდობს, ისე, როგორც მასზე მიტმასნილი საქართველო.

2008 წლიდან მოყოლებული საქართველოშიც შეიცვალა ხელისუფლება და ამ შეცვლილი მმართველობით ქვეყანამ ოთხნახევარი წელიწადი გალია – დაპირებაში მხოლოდ და ნაკლებად საქმის კეთებაში. იმ უამრავი დაპირებიდან, რომლებიც „ოცნებამ“ მოიპოვა ამომრჩევლის ყურა-

დღეობა, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაც იყო.

წინა, „ნაცურ“ ხელისუფლებასთან შედარებით, „ოცნებამ“ რაღაც ნაბიჯები გადადგა მოსკოვთან კავშირების გასაუმჯობესებლად, მაგრამ უდავოდ არასაკმარისი და დროის მოთხოვნებისადმი არაადეკვატური. თუ რატომ ვერ ან არ შეასრულა „საოცნებო“ ხელისუფლებამ დაპირებები, იოლი ახსნა არ აქვს.

მთელმა რიგმა საშინაო და საგარეო ურთიერთობებმა განაპირობეს „ოცნების“ „ცალკეა“ მოქმედება რუსეთთან მიმართებაში. უპირველეს ყოვლისა – აშშ-ს და ბრიუსელთან ანუ ნატო-ევროკავშირთან დამოკიდებულებაა გასათვალისწინებელი.

სამივე მიმართულებით საქართველოს ხელისუფლებამ ისე იაქტიურა, რომ ვაშინგტონიც და ბრიუსელიც დაარწმუნა საკუთარ გადაწყვეტილებებში – ევროატლანტიკური კურსის ურყეობა. მათაც თავის მხრივ ჩათვალეს, რომ საქართველომ გაუმართლა. ის მტკიცე მოკავშირეა – ანტი-რუსული პოლიტიკის ფორპოსტი ამიერკავკასიაში.

თვალშისაცემია ნატოს აქტიურობა საქართველოში – ერთობლივი გახშირებული წვრთნები, ევროკავშირთან ვიზალიზირებაცია, ასოცირებული წევრობა და ა.შ. მაგრამ თუ რა მოუტანა ან რას მოუტანს ესოდენი აქტიურობა საქართველოს – ესეც თვალნათელია – მოსახლეობის ცხოვრების დონის ვარდნაში, უმუშევრობის ზრდაში, სოციალური პირობების გაუარესებაში, დემოგრაფიული ვითარების კატასტროფამდე მიყვანაში და სხვა.

დასავლეთთან ურთიერთობით ჯერ-ჯერობით დასავლეთი ხეირობს, რამეთუ მინიმალური დანახარჯებით ახერხებს მისთვის ესოდენ საჭირო გეოსტრატეგიული პოზიციის განმტკიცებას კავკასიაში – რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან.

მეორე ფაქტორი – ოპოზიციად მონათლული „ნაციონალისტის“ შიშია. ყოფილი „ნაცური“ ხელისუფლება, ამერიკა-ევროპის პირწავარდნილი მარიონეტი, პატარა შანსსაც არ უშვებს ხელიდან „ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან, რუსეთის მიმართ გამოთქმული რაიმე მოსაზრების ლაფში და კრიტიკაში ამოსასერებად, რაც აშინებს ხელისუფლებას და თავისი საშუალო დროის დიდ ნაწილს თავის მართლებაში ახარჯავს.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია თვით „ოცნების“ პოლიტიკური მრწამსი – აშკარად დიფენზური „ნაციონალურ მოძრაობასთან“. გარდა ამისა „ოცნების“ რიგებში ბევრი „ნაცია“ მოკალათებული, რომლებიც აგრძელებენ თავიანთ გზას, ცხადია „ნაცურს“, ამერიკულს – ანტი-ქართულს.

2012 წლის ხელისუფლების ცვლამ დიდი ვერაფერი შედეგად არ გუნა საქართველოს მოსახლეობას, ვერც საგარეო კურსის შეცვლა და ვერც რუსეთთან დაპირებული ურთიერთობა. საგარეო კურსი, რომ სერიოზულად მოქმედებს ქვეყნის შიდა ცხოვრებაზე, ფაქტია.

ისიც ფაქტია, რომ საგარეო კავშირების წყალობით, ერთობ უსუსურით და მარიონეტულით, მძიმე დარტყმა განიცადა ეკონომიკამ. საქართველომ პირნათლად შეასრულა დასავლეთის მიითთება საკუთარი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის დაკნინების თაობაზე, რაც იმავე დასავლეთისთვის ეკონომიკური კარის ფართოდ გაღების გარანტიაა. როდესაც ქვეყანა თითქმის არაფერს აწარმოებს, იძულებულია იმპორტული საქონლით, მათ შორის კვების პროდუქტებით დაიკმაყოფილოს თავი.

საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკა, რომელსაც 80-მდე სხვადასხვა დანიშნულების ნაწარმი გაჰქონდა მსოფლიოში, თავიდან ბოლომდე მომხმარებელი გახდა. დღევანდელი ეკონომიკა – იმპორტული ნაწარმის მოსახლეობის მიერ გადაიშვებაზე და გამოყენებაზე დაფუძნებული, თავისთავად ართულებს ეკონომიკური გაჯანსაღების პროცესს დაწყებას. გარდა ამისა უნებლიედ ბადებს კითხვას – სურს კი ხელისუფლებას შეცვალოს ვითარება?

რეალობის მიხედვით თუ ვიმჯავლებთ – არა, ვინაიდან ვითარების შეცვლას გონებაგახსნილი პოლიტიკოსები სჭირდება, ასეთი კი ხელისუფლებაში არ მოიპოვება.

ანალოგიური ვითარებაა საგარეო პოლიტიკაშიც. ხელისუფლებას უდავოდ აწუხებს ის ვითარება, რაც საქართველოშია – რუსეთის ლანძღვა, დასავლეთთან ჩახუტება, ზედაპირული, არაპროფესიონალური დასკვნების გაკეთება და ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა. არადა პოლიტიკური ვექტორი რომ შესაცვლელია, დიდი თავისტეხა ამას არ სჭირდება.

საქართველო დაემსგავსა იმ ავადსახსენებელ ჩამორჩენილ ქვეყნებს, სადაც საუკუნეების, წლების განმავლობაში ფეხი ჰქონდა მოკიდებული დასავლეთს. რაც დასავლეთმა გააკეთა, იყო ის, რომ შექმნა, დააპურა ამ ქვეყნების პოლიტიკური ელიტა – მისდამი ლოიალურად განწყობილი და მასთან ერთად გამარცხვა ქვეყნები.

განა ამგვარს არ აქვს ადგილი საქართველოში?!

განსხვავება არაფერშია, თუ არა ქვეყნის სახელში. თუმცა არის განსხვავება – დემოგრაფიაში. ის ქვეყნები გაცილებით მეტ მოსახლეობას (ადგილობრივს) ითვლიან, ვიდრე საქართველო, რაც თავისთავად სერიოზული დაფიქრების საბაბია. მაგრამ არის?

საქართველოზე მეტს ვერაფერს იტყვი, თუ არა მარიონეტზე, რომელსაც არც საკუთარი პოლიტიკა და არც საკუთარი აზროვნება გააჩნია. საქართველოს პოლიტიკური ელიტა, ხელისუფლება, აშშ-ს ანარეკლია ამიერკავკასიაში და ის, ისე იტყვევს, როგორც მარიონეტს შეეფერება. ასეთისგან სხვაგვარ შეფასებას ვერ მოისმენთ „პატრიოტთა ალიანსის“ წევრების მოსკოვში ვიზიტის შედეგად.

ხელისუფლებისთვის მსგავსი ნაბიჯი მიუღებელია და მიუღებელია იმიტომ, რომ მიუღებელია აშშ-სთვის, რომელსაც არ ანაღვლებს არც საზღვრების გადმოწევა და არც სხვა რამ, რაც დაკავშირებულია სომხეთ-აზერბაიჯანთან საზღვრების დაცვასთან. მერე რა, თუ საქართველო ისტორიულ ძველებს და მნიშვნელოვან ტერიტორიებს დაკარგავს?!

დასავლეთის აზრით, ეს საკითხები ამ ქვეყნების გადასაწყვეტია და აშშ-ი მათ საქმეებში ვერ ჩაერევა, მაგრამ სხვა საკითხებში რომ ერევა და თანაც უხეშად? აფსუს, რუსეთი. არადა, როგორც ვატყობ მეზობლებთან სასაზღვრო საკითხების მოსაწესრიგებლად მესამე ქვეყნის დახმარება იქნება საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში დასუსტებული საქართველო ვერაფერს გახდება მათთან. როგორც აზერბაიჯანმა, ისე სომხეთმა და თურქეთმა კარგად იციან დასავლეთის პოზიცია. ისიც იციან, რომ ის არ ჩაერევა ასეთ საკითხში.

არც რუსეთია ის ქვეყანა, რომელიც მხარს დაუჭერს საქართველოს, ვინაიდან ამ უკანასკნელის მიერ წლების განმავლობაში სერიოზულად არის შეურაცხყოფილი. მაშ რა გზას უნდა დაადგოს საქართველო? – ერეკლეს გზას, ვინაიდან სხვა გზა არ არსებობს.

25-წლიანმა უკომპასო ხეტიალმა ნუთუ ჰქუა არ უნდა გვაწავლოს? ნუთუ, არ უნდა დაგვანახოს, რომ დასავლური მენტალიტეტი მხოლოდ გამორჩენაზეა დაფუძნებული? არ უნდა დავინახოთ, რომ დასავლეთი შორსაა და დახმარების გაწვა, რისი დიდი სურვილი რომ ჰქონდეს, უახლოეს მეზობელთან შედარებით, გაუჭირდება?


ნუ ავეყვებით რუსოფობ ვაი-პატრიოტებს! ნუ გავიზიარებთ მათ მცდარ მოსაზრებას რუსეთთან მიმართებაში! ნუ გადავიტყვევით ისეთ მონებად, უკან მოხუდვის თავიც არ გვქონდეს!

ვიაზროვნოთ პრაგმატულად – ქვეყნისთვის სასიკეთოდ და არა პირადი კეთილდღეობის მოსაწყობად. ნუ გავიყიდებით საღებ რეზინებზე. ვიფიქროთ ისე, როგორც დიდი ერეკლე ფიქრობდა.

კამლატ ზიპაშვილი,
პოლიტოლოგი

ეს სირუნი, სირუნი!

თაყაი ნიჟინაძე



ძვირფასო მკითხველო!

დარწმუნებული ვარ, ძალიანაც შეწუხდებით, მაგრამ არ შემიძლია საქმის კურსში არ ჩაგაყენო! – ჩვენი სომეხ ძმებს, საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში მცხოვრებთ და იმას იქეთაც, დიდად სამწუხარო ამბავი დამართინათ!..

ქალბატონმა ნინა გარსიანიამ – გამომწვევით ამერიკელი არმენოლოგმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის დოქტორმა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამერიკაში შუა საუკუნეების სომხეთის ისტორიის შესწავლაში – ეს ერთმა და, კიდევ მეორემ – სახელგანთქმულმა ეთიოპელმა პოლიტოლოგმა, ისტორიის მეცნიერებთა დოქტორმა, პროფესორმა თეკლა ხაგოსმა, თითქმის ერთდროულად, ბრალი დასდეს სომეხ ხალხს სხვათა ისტორიის მითვისებაში!..

უკაცრავად კი ვარ, მაგრამ, რომ არ აღვნიშნო, არ შემიძლია – სომეხებს ეთიოპელთათვის ანბანი მოუპარავთ!..

თეკლა ხაგოსი, ეს სწავლული ისტორიკოსი, ამას თავის პირველ წიგნში წერდა, მეორე წიგნი კი პირდაპირ ასე დაუსათაურებია:

“სომეხები – კულტურულ ფასეულობათა მიმტაცებლები!”

და ორივე ამ წიგნიდან ერთი საერთო დასკვნა იკვეთება! – “სომხური პრობლემის გულმოდგინე შესწავლის შემდეგ მიხვდით, რომ ისინი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდნენ პრობლემას მრავალი ერისათვის, იმ სახელმწიფოთათვის, რომელთა შემადგენლობაში ცხოვრობდნენ”.

ამას დაექვეს ოჯახი (დაცოლშვილები თუ, არ ვიცით), ძვირფასო სომეხებო, ამ უმძიმესი ბრალდებითაც რომ არ კმაყოფილებათ?!

შეკითხვაზე – “პროპაგანდისტული სამუშაოს გარდა, რა შეიძლება გაკეთდეს, რომ სომეხთა ცხოველური მადა დაოკდეს?” – ეს საქვეყნოდ სახელგანთქმული მეცნიერი ასე პასუხობს! – “ვფიქრობ, კარგი იდეაა გაერთიანება და შექმნა ისეთი კომისიისა, რომელიც თავის ადგილს მიუჩენს სომხეთის სახელის მტარებელ ამ თემს, რათა ისინი გონს მოეგონ და მიხედნენ, რომ ასე ხელაღებით და მზაკურულად მოქცევა არ შეიძლება”.

კი, მაგრამ, ეთიოპელი! ამ ჩემი ძვირფასი მეზობლისაგან, სომხისაგან, რა გარანტია გაქვს, რომ გონს მოეგება და ასე მზაკურულად აღარ მოიქცევა?!

ეს სწავლული კაცი ამ კითხვისთვისაც მზად ყოფილა!

“შესაძლებელია მათი მადის დაოკება და შეჩერება და იძულებითი ბოდიშის მოხდის დაკისრებაც მთელი მსოფლიოსა და ყველა ხალხის წინაშე, რომლებმაც განიცადეს მორალური და ფიზიკური ტერორი სომეხების მხრიდან”.

ერთი პა! ამას რას ამბობს განათლებული კაცი! – **სომეხებს იძულებითი ბოდიშის მოხდა უნდა დაეკისროთ მთელი მსოფლიოსა და ყველა ხალხის წინაშე!**.. აუ! რა მოხია ამ დალოცვილმა!..

და იქვე განაგრძობს: მათ შორის, აზერბაიჯანელების წინაშეც, რომელთაც, ამ რამდენიმე წლის წინათ სომეხმა ნაციონალური სამხარეულოს რამდენიმე ნიმუშის მოპარვა დაუპირესო!..

მაგრამო, თათრებმა იმარჯვეს და

იუნესკოს შეაცვლევინეს ეს გადაწყვეტილებაო!..

ძვირფასო სომეხო ძმებო! მე ამ დავის შესახებ არაფერი მსმენია, მაგრამ ცვატ-ტანემ, ის კი მიკვირს – თქვენი სუჯუხისა და ტოლმის პატრონს ან წვნიანის, ან შშრალი პროდუქტის მოპარვა რაში გჭირდებათ?!

ალბათ მშვენიერ ლულა-ქაბაბზე წაგცდათ ხელი (ან თვალი) და ის გისაკუვედურეს!..

ჩვენ კიდევ, ქართველებს, 359 ეკლესიას ტყუილ-უბრალოდ გვედავებით და ხმას არ ვიღებთ, კი ვართ გატრუნდები!..

ანბანი თქვენ თვითონ სხვებისგან მოვიპარავთ და ახლა ჩვენსაზე გიჭირავთ თვალი!..

ჩვენი ჯვრის მონასტერიც თქვენი აშენებული გონებითა!..

სამხრეთ საქართველოს ძირძველი ტერიტორიებიც თქვენს რუკებზე გაქვთ შემოხაზული!..

და, ჩვენ ხმა სულაც რომ არ ამოვიდოთ, თუ ასე ვანაგრძობთ, საერთაშორისო სამართალი ისედაც მოვისახავთ!..

დროა, ფეხებში ჩაუვარდეთ და შეეხვეწით იმ ეთიოპელ სწავლულს, ის მეორე წიგნი მანაც აღარ გამოსცეს, სადაც, თურმე, თქვენს საუკუნოვან ცოდვებზეა ლაპარაკი და მიწასთან ხართ გასწორებული!..

ღმერთმა ქნას, ყველაფერი ისე არ დაწეროს თეკლა ხაგოსმა, რასაც წინდაწინ გპირდებით!

მაგალითად! – “პალესტინაში, იერუსალიმში სომეხების გადასახლებაზე, ამ მიწის ქრისტიანებს შორის არავითარ წინააღმდეგობას არ ჰქონია ადგილი. ქრისტიანი არაბები, ბერძნები და სხვები, რომელიც მიმდინარეობს კუთვნილებისად არ უნდა ყოფილიყვნენ, ცხოვრობდნენ მშვიდობიანად და თანხმობით. იესოს ტაძარში, აღდგომის დღესასწაულზე, ისეთ უმსგავსებებს არასდროს ჰქონია ადგილი, რასაც ყოველ წელს აწყობენ სომეხები – თითქმის გუშინ გადასახლდნენ ისინი წმინდა ქალაქში, ხოლო დღეს ამტკიცებენ, რომ სწორედ მათ დააარსეს იერუსალიმი. არაბ მუსულმანებთან და ებრაელებთანაც კი ქრისტიანები მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ სომეხების აქ დასახლებამდე, როგორც კი სომეხები ჩავიდნენ წმინდა მიწაზე, თითქმის გაქრა მადლი, სიხარული, ბედნიერება და მშვიდობა”.

ძვირფასო სომეხებო! რაგინდაც უნდა მოაძულეთ მსოფლიოს თავი, ჩვენივეს, როგორც კეთილი მეზობლები, მუდამ საყვარელი ერთი იქნებით, მაგრამ, იქნებ გეცადათ და სხვებთანაც, დედამიწის ზურგზე თუნდაც ერთ რომელიმე ერთან თანაარსებობა მოგახერხებინათ?!

ასე როგორ შეაძლებელი ყველას თავი? კი ბატონო, ნათქვამია, მძა მძისთვის და შავი დღისთვის და მე, ეს ერთი ეთიოპელი კაცი სომხური კონიაკითა და ქართული ხინკლით შეიძლება, კიდევაც გაგაჩერო და შემოგაროგო, მაგრამ კიდევ ერთხელ გუუბნებთ, ცვატ-ტანემ, ამ თქვენს თანამემამულე ქალბატონს, ნინა გარსიანს რაღა ვუყო?!

არა და, სწავლა-განათლება და სამეცნიერო რეგალიები ამ ქალბატონს რომ აქვს, ისეთი უნდა. არის გამოჩენილი ამერიკელი არმენოლოგი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, თანაც ნამდვილი წვერი ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის აკადემიებისა!..

მაგრამ რად გინდა, ნეტამც, არ იყოს, რადგან ისიც დარწმუნებულია, რომ:

“ყველა ძველსომხური წყარო ნატყუარია და გამოწვეულია ლტოლვილით, გამორჩეულიყვენ სხვა ხალხებს შორის!”

“მონაცემები სომეხთა და კლასიკურ ისტორიკოსთა წყაროებისა ხშირად მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს და განსხვავებულია აშუქებს ერთსა და იმავე ფაქტებს!”

უჰ, უჰ, ძვირფასო სომეხებო! ამ ორი, მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერის აზრით, თქვენ გამოუსწორებელი მატყუარები ყოფილხართ და ამ ნაკლის აღმოფხვრაში, მეტიც, ცოტაოდნავ შემსუბუქებაშიც კი თქვენი დახმარება მე არაფრით შემიძლია!..

იქნებ, თქვენ თვითონ კიდევ ერთხელ გაეცნოთ ამ პატიოსან მეცნიერთა მოსაზრე-

ბებსა თუ ბრალდებებს და საკუთარ თავს რამენაირად მიხედოთ!..

საერთოდ კი, ჩვენ, ქართველი და სომეხი ხალხი იმდენად მცირე ერები ვართ და იმდენად დიდი წარსული გვაქვს, სხვისი ისტორიის მითვისება კი არა, საკუთარიც თავზე გადაგვდის!..

ინფორმაცია სახელგანთქმულ ეთიოპელ პოლიტოლოგ, ისტორიის მკვლევართა დოქტორ, პროფესორ თაქოლა ხაგოსთან



პირველი განხილული ინტერვიუ ეთიოპელ ისტორიკოსთან “აზ გლობუსი-დან” ითარგმნა და დაიბეჭდა გაზეთ “ლიტერატურული საქართველოს” 2016 წლის 11 ნოემბრის ნომერში. ინტერვიუში საუბარი იყო სომეხების მიერ ეთიოპური ანბანის მითვისების თაობაზე. მეცნიერს წარმოვადგინე ჰქონდა ანბანი ნიმუში, რომელიც, მისი მტკიცებით, ეთიოპურია და სომეხები უკვე საუკუნეებია თავისად ასაღებენ. “აზ გლობუსი” კიდევ ერთხელ დაუკავშირდა ბატონ ხაგოსს და ჩაიწერა მასთან ინტერვიუ, რომლის თარგმანსაც ვთავაზობთ.

- გამარჯობათ, ბატონო პროფესორო.
- მოგესალმებით.
- იმედო მაქვს თქვენთვის ცნობილია, თუ რა გამოხმაურება მოჰყვა თქვენს პირველ ინტერვიუს ჩვენი რესურსის რუსულენოვანი აუდიტორიისაგან. ამის შემდეგ ხომ არ უცდიათ სომეხებს თქვენთან დაკავშირება?
- ჩემთვის ცნობილია, რომ ის ინტერვიუ ფართო დისკუსიის საგანი გახდა ექსპერტთა გაერთიანებისა და სოციალური ქსელების მომხმარებელთა შორის. სამწუხაროა, რომ თქვენ არ გამოგიკვეყნებიათ ინტერვიუს ინგლისური ორიგინალი. ეს საშუალებას მისცემდა ინგლისურენოვან მკითხველსაც, გასცნობოდა ამ ფაქტებს სომეხთა შესახებ... სომეხებს არ უცდიათ ჩვენთან დაკავშირება. ან რა აქვთ სათქმელი? სადავოც არაფერია. ისტორიული ფაქტები ამტკიცებენ, რომ სომეხებმა მითვისეს, მოიპარეს ჩვენი ანბანი და მთელ მსოფლიოს შეაჩვენეს, როგორც საკუთარი. უკანასკნელი წლის განმავლობაში უამრავი საინტერესო რამ შევიტყვევებ სომეხთა ირგვლივ და მათი ბუნების შესახებ. გაგარკვევთ, ვის რა კულტურულ ფასეულობებს სტაცებდნენ თავზედურად და ამ დანაშაულის ჩადენას აქამადაც განაგრძობენ. თურმე, მათგან სხვისი კულტურისა და მეცნიერების ხელაღებით მითვისების უკადრისი პოლიტიკისაგან არა მხოლოდ ეთიოპელი ხალხია დაზარალებული. როგორც კი ჩემს წიგნს ეთიოპელ იმპერატორთა მეგობრობის შესახებ დაგამთავრებ, რომელიც დასრულებს ეტაპზე, შევედგები შემდეგ წიგნზე მუშაობას. სახელწოდება მოფიქრებული მაქვს: “სომეხები – კულტურულ ფასეულობათა მიმტაცებლები”. უკვე შეგროვებული მაქვს საკმარისი მასალა ფაქტები და მტკიცებულებები ჩემი ახალი წიგნისათვის.
- ბატონო ხაგოს, რატომ არის, რომ ფაქტები, ქვეყნები, რომელთა კულტურულ ფასეულობებს ასე ურცხვად ითვისებენ სომეხები, არ ქმნიან ერთობლივ კომისიას და არ მუშაობენ ამ პრობლემაზე სომეხები ხომ მათ ზღვარსგადასულ მოქმედებთა

მიმართ წინააღმდეგობის გაუწევლობის გამო თავხედდებიან. ჯერჯერობით მსოფლიო არენაზე ამ ფორმით მხოლოდ აზერბაიჯანი ებრძვის მათ. რამდენიმე წლის წინ ისინი ცდილობდნენ გაესომხურებინათ აზერბაიჯანული ნაციონალური სამხარეულოს რამდენიმე ნიმუში, რაც გახდა მიზეზი უდიდესი სკანდალისა და აზერბაიჯანელებმა იუნესკოს შეაცვლევინეს გადაწყვეტილება, ეს ნიმუშები ორგანიზაციის სიაში შეეტანათ, როგორც “სომხური”..

– სომხური პრობლემის გულმოდგინედ შესწავლის შემდეგ მიხვდით, რომ ისინი საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდნენ პრობლემას მრავალი ერისათვის, იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთა შემადგენლობაშიც ცხოვრობდნენ. ახალ წიგნში დაწერილებით დაგვიჩვენებთ იმის შესახებ, თუ როგორ გამოჩნდნენ ისინი მცირე აზიაში, როგორ მოხვდნენ კავკასიაში, როგორ გადაბარდნენ წმინდა მიწაზე, რა მწვალებლობა გააგრძელეს. იქ, მაგალითად, პალესტინაში, იერუსალიმში სომეხების გადასახლებაზე, ამ მიწის ქრისტიანებს შორის არავითარ წინააღმდეგობას არ ჰქონია ადგილი. ქრისტიანი არაბები, ბერძნები და სხვები, რომელიც მიმდინარეობს კუთვნილებისად უნდა ყოფილიყვნენ, ცხოვრობდნენ მშვიდობიანად და თანხმობით. იესოს ტაძარში, აღდგომის დღესასწაულზე, ისეთ უმსგავსებებს არასდროს ჰქონია ადგილი, რასაც ყოველ წელს აწყობენ სომეხები. თითქმის გუშინ გადასახლდნენ ისინი წმინდა ქალაქში, ხოლო დღეს ამტკიცებენ, რომ სწორედ მათ დააარსეს იერუსალიმი. არაბ მუსულმანებთან და ებრაელებთანაც ქრისტიანები მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ სომეხების იქ გადასახლებამდე. როგორც კი სომეხები ჩავიდნენ, წმინდა მიწაზე თითქმის გაქრა მადლი, სიხარული, ბედნიერება და მშვიდობა. ვფიქრობ, კარგი იდეაა გაერთიანება და შექმნა ისეთი კომისიისა, რომელიც თავის ადგილს მიუჩენს სომეხების სახელის მტარებელ ამ თემს, რათა გონს მოეგონ და მიხედნენ, რომ ასე ხელაღებით და მზაკურულად მოქცევა არ შეიძლება. თუ რამე წინააღმდეგა წამოიჭრება, მზად ვართ ვითანამშრომლო ნებისმიერთან, ოღონდ ვამხილო მათი თავხედური სიცრუე.

– თქვენ ილაპარაკებთ პალესტინაში სომეხების გადასახლების თაობაზე. შეიძლება, ამის შესახებ უფრო დაწერილებით..

– ეს ძალიან ყურადსაღებო ცალკე თემაა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ოსმალეთის იმპერიას ზურგში მახვილი ჩასცეს, რომლის საპატიო, მაძლარი და უზრუნველყოფილი ქვეშემრდომებიც იყვნენ სომეხები, მათ სამხრეთში წასვლა გადაწყვიტეს. მანამდე დამასკოს სომხურ ეკლესიაში მოიყარეს თავი თემის გამორჩეულმა ადამიანებმა, და იქ მიიღეს გადაწყვეტილება, რამდენადაც უნდა სძულდებოდათ ებრაელები, მუსულმანები თუ ქრისტიანული მიმდინარეობის წარმომადგენლები, უსათუოდ უნდა ეცხოვრათ სომეხებს იერუსალიმში. მათთვის უმთავრესი იყო, უბრალოდ, “სომეხთა ყოფნა” წმინდა მიწაზე. დასახლდნენ და დარჩნენ იქ ისევე, როგორც დაფიქრდნენ ახლო აღმოსავლეთის სხვა ქალაქებში. თქვენ შესაძლებლობა გექნებათ, ამის შესახებ წაიკითხოთ ჩემს წიგნში სომეხებზე.

– წიგნისა და პროპაგანდისტული სამუშაოს გარდა რა შეიძლება გაკეთდეს, რომ სომეხთა ცხოველური მადა დაოკდეს?

– შესაძლებელია მათი მადის დაოკება და შეჩერება და იძულებითი ბოდიშის მოხდის დაკისრებაც მთელი მსოფლიოს და ყველა ხალხის წინაშე, რომლებმაც განიცადეს მორალური და ფიზიკური ტერორი (განა აფხაზეთში სომეხთა “ბაგრაშიანის” ბატალიონის ქმედებები ქართველი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული ფიზიკური ტერორი არ გახლდათ?) სომეხთა მხრიდან. შეიძლება მოწვეულ იქნას საერთაშორისო სასამართლო გაეროსა და იუნესკოს ჩარჩოებში და სომეხებს მიეჩინოს თავიანთი ადგილი. ამისათვის საჭიროა ძალების კონსოლიდაცია და ერთიანი მოქმედება. ამის დასრულება უფიქტურ შედეგს მოიტანს.

– გამადლობთ, ბატონო ხაგოს, საუბრისათვის.

– თქვენც გამადლობთ (საუბრის ჩანაწერი გამოქვეყნებულია 2017 წლის 2 ივნისს რუბრიკით kategoria-siz)

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

606ა ბარსოიანი, გამოჩენილი ამერიკელი არმენოლოგი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი. 1958 წელს გახდა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პრინსტონის უნივერსიტეტის პირველი ქალი-დოქტორი. 1979 წლიდან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამერიკაში შუა საუკუნეების სომხეთის ისტორიის შესწავლაში. გამოაქვეყნა რამდენიმე წიგნი, საკურნალო და ენციკლოპედიური სტატიები. არის რედაქტორი სომხურ გამოკვლევათა მიმოხილვისა პარიზში, წევრი ამერიკის შუა საუკუნეების მეცნიერებათა აკადემიისა და წევრ-კორესპონდენტი ბრიტანული აკადემიისა.



“სომხეთი IV საუკუნეში” (სომხეთისა) და “ერთგულეობის ტერიტორია საბითუმის დასახუშტაბლად”

(მოკლე მიმოხილვა)
“ყველა ძველსომხური წყარო ნატყვარია და გამოწვეულია ლტოლვით, გამორჩეულიყვენ სხვა ხალხის შორის”.
“მონაცემები სომხეთა და კლასიკურ ისტორიოსთა წყაროებისა ხშირად მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს და განსხვავებულად აშუქებენ ერთსა და იმავე ფაქტებს. დაბოლოს, თვით სომხური წყაროების ტონი ამ პერიოდის განმავლობაში შესაძენველ იცვლება”.

606ა ბარსოიანი

1971 წელს “სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის “მაცნეში” გამოჩნდა ნინა გარსოიანის სტატია “სომხეთი IV საუკუნეში” (“სომხეთისა” და “ერთგულეობის” ტერიტორია საბითუმის დასახუშტაბლად”, სომხეთის სსრ მეცნ. აკადემიის “მაცნე”, 1971, №3). გამოცემის ზუსტად მეორე დღეს სტატია ანათემაზე გადასცეს, ამოიღეს ბეჭდვითი ორგანოებიდან და აუტოლაფე მოუწვეეს. ნინა გარსოიანის მოსაზრებებმა უღმობელი დარტყმა მიიყენა სომხურ “ძველ ქრონიკებს”, რომლებსაც ეყრდნობიან,

ჩვეულებრივად, სომეხი ისტორიის მოსწავლეები. ამერიკელმა ისტორიკოსმა გააანალიზა ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნის პერიოდი, დამატებულად დაამტკიცა, რომ სომხეთს ათას ხუთასი წლის მანძილზე სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა არ ჰქონია. სიცრუეა გაქრისტიანების დათარიღება, ანუ მოგონილია სომხური მითი პირველქრისტიანობის შესახებ, ხოლო ყველა ძველსომხური და შემდგომი ქრონიკები ისტორიული სიყალბით გაკლავილია, რაც სხვა ხალხებს შორის გამორჩეულობისკენ ლტოლვით არის გამოწვეული.

ავტორმა ასევე დამტკიცა სომხური ისტორიის მამების – ფავსტოს ბუზანდისა და მოვსეს ხორენაცის ტენდენციურობა, რომლებიც ისტორიული სიმართლის საპირისპიროდ, სომხეთს, როგორც პოლი-

ეს სირუხ, სირუხ!..

ტიკურად ერთიანს, წარმოადგენენ. მან უტყუარ ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით დასაბუთა სომხეთის ადგილმდებარეობის არსებობა კავკასიის საზღვრებთან დასაბუთა სომხეთის კერძოდ კი მცირე აზიაში, მდინარე ეფრატის ორ სანაპიროზე, მტკიცებულებათა ბაზაში შედის ასევე ფაქტი სომეხი ხალხის ნათლობისა 314 წელს, მდინარის ეფრატზე მეფე თრდატის მეთაურობით.

მეცნიერი განმარტავს, რომ სომხებმა “სომხეთის ისტორიის” შექმნა დაიწყო V საუკუნიდან, სომხური სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ. ეს ნიშნავს, რომ ძველ ისტორიკოსებს კავშირი ჰქონდათ ცალკეული ნაწარმების (მთავართა) სახლებთან, მათ დაწინაურებას ემსახურებოდნენ და ამიტომ მათი შრომები არ შეიძლება მიიჩნეოდეს როგორც კვლევები სომხეთის ისტორიის შესახებ “ეთნიკონში გეოგრაფიული და ნაციონალური აზრის ხართვით”. მით უმეტეს, როგორც ავტორი აღნიშნავს, “...შუა საუკუნეებში თანამედროვე ცნებით ეროვნულობის გაგება არ არსებობდა არც აღმოსავლეთსა და არც დასავლეთში”.

სტატიაში დამტკიცებულია, რომ ერთიანი სომხეთი არ არსებობდა, ხოლო ის წარმონაქმნები, რომლებიცგანაც ის შედგებოდა, მდებარეობდა სამხრეთ კავკასიის გარეთ – თანამედროვე თურქეთის, ირანის და ერაყის ტერიტორიებზე, ამასთან ძველ-ვაშლიანი რომისა და სპარსეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ.

რას წარმოადგენდა იმ პერიოდის სომხეთი, რომელიც ქრონიკებსა და შემდგომ ისტორიულ ოპუსებში წარმოგვიდგება, როგორც ერთიანი სახელმწიფოს წარმონაქმნი?

IV საუკუნის დასაწყისში სომხეთი წარმოადგენდა ცალკეულ პოლიტიკურ წარ-

მონაქმნებს. ჩრდილოეთით – არშაკიდების სამეფო, რომლის დედაქალაქი არტაშატი-დან დღემდე იქნა გადატანილი. სამხრეთით – ავტონომიური სატრაპიები, რომლებიც რომის გავლენის ორბიტაში მოექცნენ 293 წლის მოლაპარაკების შედეგად და ეფრატისპირა პროვინცია Armenia Minor, რომელიც უკვე დიდი ხნის შესული იყო იმპერიის შემადგენლობაში. მოგვიანებით, 382 წლის გაყვანის შემდეგ, ეს სურათი კიდევ უფრო მეტად რთულდება Armenia Minor-ის გაჩენით, რომელიც შედგებოდა ჩრდილოეთში ეფრატსგაღმა განსახლებული გავარებისგან და, რომლებიც იქნენ იმპერიის ნაწილად ახალ მოლაპარაკებათა პირობების ძალით.

“ის ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით სომხეთის შესახებ, ამოწმების იმას, რომ “დაიღი სომხეთის” თავგამოდებულ მომხრეთა

სურვილების მიუხედავად, I-IV საუკუნეების სომხეთი არაფრით არ შეიძლება წამოვიდინოთ როგორც რელიგიური და პოლიტიკური ერთიანობა. როგორც ტრონიმი უცვლელი შინაარსისა, გაიგებულ იქნა ჩრდილოეთის არშაკიდთა სამეფოსთან (ანუ ალბანეთთან). პოლიტიკური ერთიანობის მხრივ, მთიანი ყარაბაღის ზონა I-IV საუკუნეებში კამათის გარეშე ალბანელი არშაკიდების, ხოლო VII-VIII საუკუნეებში დიდი მთავრების მიხრანიდების ხელქვეითი იყო. არაბების გამარჯვების შედეგად ალბანური სამეფო დაეცა. ალბანური ეკლესია დაექვემდებარდა სომხურ ეკლესიას. ამან სათავე დაუდო ალბანური ეთნოსის თანდათანობით დეფინიზაციას”.

უწინარეს ყოვლისა, ამ პერიოდის ქრონოლოგია (IV საუკუნის და V საუკუნის დასაწყისის). რაღაც საზომით რომ ეყრდნობა ქვეყნის ოფიციალურ ქრისტიანობის თარიღს, გადახედვას საჭიროებს. სომხური და კლასიკური წყაროების მონაცემები ხშირად მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს და განსხვავებულად განიხილავს ერთსა და იმავე ფაქტებს. დაბოლოს, თვით სომხური წყაროების ტონი ამ პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლება”.

განსაკუთრებულად საინტერესოა სომხური წყაროების აშკარა “სიძულვილი” სომხური (არშაკიდების) სამეფო სახლისადმი. კერძოდ, არშაკ II-ისა და პაპისადმი (მეფე), რაც სრულიად აუხსნელი ფაქტია, თუ ამ შრომებს, როგორც ნაციონალურ ისტორიას, კითხულობ... ნებისთი თუ უნებლიედ. ფავსტოს ბუზანდის ან მოვსეს ხორენაცის მიერ დახატული სურათი მათ პირად იღვავება – ზორთასტრულ სპარსეთს დაპირისპირებულ, გაერთიანებულ და ერთ მუშტად შეკრულ სომხეთს ირეკლავს. ისინი მკვებობენ ერთიან სამე-

ფოზე, რომელსაც ხშირად ცალკეული მშაკვარი ნახარარები დადგენენ. მკვნიორიებას უწევენ სპარსეთის დიდ გავლენას სომხურ საზოგადოებას და ინსტიტუტებსზე, ურჩევნიათ დაივიწყონ, რომ სომეხი არშაკიდები იყვნენ უკანასკნელი და ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენლები პართიელთა ლეგიტიმიზმისა, რომლებიც უპირისპირდებოდნენ სასანიდ უზურპატორებს”.

ამ მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ იგი (ისტორიული სურათი) ამხინჯებს IV საუკუნის ისტორიულ სინამდვილეს, როცა სომხეთი არ იყო გაერთიანებული და არ იყო უცხო სპარსული სამყაროსათვის.

“სომეხთა ეფრატული სატრაპიები არშაკიდების სამეფოს სატელიტებად გვევლინებიან”. ასეთია ვერსია სომხური წყაროებისა, რომლებიც არასოდეს არ ცნობდნენ მათ (სატრაპიების) არსებობას იმ დროს, როცა კლასიკური წყაროები – როგორც ლიტერატურული, ისე იურიდიული, – ამაზე ნათლად მიუთითებენ”.

“იმ დროს კი ავტონომიურები იყვნენ სომხური ეფრატული სატრაპიები და სარგებლობდნენ დიდი პოლიტიკური დამოუკიდებლობით, ვიდრე თვითონ არშაკიდების სახელმწიფო”.

რომაულ სამყაროში გაერთიანებულ სომხურ სატრაპიებს ჰქონდათ დიდი ავტონომია, არ იხდინდნენ გადასახადებს და გამოსადებს, შიამომავლობით სატრაპები კი საკუთარ სამარ კონტიგენტებს მეთაურობდნენ კიდევც, ხოლო არშაკიდთა სომხურ სამეფოში ყველაფერი განსხვავებულად იყო. “თრდატ I-მა (მეფე) თავისი ძალაუფლება რომის იმპერატორისგან მიიღო... ჩრდილოეთ სომხეთში, სატრაპიებისაგან განსხვავებით, 185 წლამდე იღვა რომაული ჯარები, a magister militum ტრაიანე და იმპერიის სხვა ოფიცრები იმყოფებოდნენ სომეხ მეფეთა სასახლის კარზე პაპის (სომეხთა მეფის) დროსაც კი. და ბოლოს, ყველაზე მთავარია ის, რომ ორი წყაროს – სომხურისა და კლასიკურის მოწმობით, სომხური სამეფო განაგრძობდა გამოსადეგების გადახდას რომის იმპერიისათვის 358 წლამდე, იმ დროს, როცა სატრაპიებმა ნახევარი საუკუნით ადრე მიიღეს სრული იმუნიტეტი. ყოველ შემთხვევაში, რომის თვალში მათი მდგომარეობის არათანაბრობა სრულიად აშკარაა”.

“სატრაპიების განსაკუთრებული როლის აღიარება უცილობლად გამოიწვევს რთული პოლიტიკური სურათის აღიარებას IV საუკუნის სომხეთში, გაუბრალოებულს უფრო გვიანდელ წყაროებში”. ტერიტორიების (“სომხეთი” და “ერთგულეობა”) ახლებურ გაგებას შესაძლებელია ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა IV საუკუნის სომხეთის ისტორიის ინტერპრეტაციისათვისაც და “შესაძლოა იგი დაგვეხმაროს, გადაიხედოს აწ უკვე დამკვიდრებული წარმოდგენა წარსულის შესახებ”.

თავზი, როველიც ახსიკრავს კიბოსა და იწვარქაზის რისკს

პაპუნა კოსტაშვილი ბიზნეს საქმიანობაში 15 წლის ასაკიდანაა ჩართული. 23 წლის იყო, როცა საქართველოში სრულდებოდა ახალი, რეცენტრალური აკვადემიის სისტემა შემოიტანა და უცხოელ პარტნიორებთან ერთად სართიქალის ტერიტორიაზე აფრიკული ლოქოს ორი სახეობის წარმოება დაიწყო...

პაპუნა კოსტაშვილი:
 – როდესაც თავდაპირველად აკვადემიის პრობლემების შესახებ წავიკითხე, ამ ინფორმაციის აღქმა გამჭირდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ლოქოს სპეციფიკა და საარსებო პირობები შევისწავლე, მივხვდი, რომ ეს შესაძლებელია. ამ რთულ და სარისკო პროექტში ჩემი უცხოელი პარტნიორების დახმარებით საკმაოდ დიდი ინვესტიცია, რამდენიმე ასეული ათასი დოლარი ჩაიღო.

ჩვენი მეურნეობა სამას კვადრატულ მეტრ ფართობს მოიცავს. შეიძლება, 80 ტონა ლოქო ჩავსვა და წელიწადში 150 ტონა გავყიდო, რაც დამეთანხმებით, საკმაოდ ბევრია. იმავე შედეგების მისაღწევად ტბის პირობებში რამდენიმე ათეული ჰექტარია საჭირო. წყლის ტემპერატურული კონტროლის სისტემა, მექანიკური და ბიოლოგიური ფილტრები ჯანსაღი თევზის გამოყვანის საშუალებას გვაძლევს.

– საქართველოში ძირითადად, ევროპული ლოქოა გავრცელებული, თქვენ კი აფრიკული ლოქოს სახეობები გაამრავლეთ...

– კონკრეტულად ამ ჯიშის ლოქოს გაზრდა საქართველოს ბუნებრივ პირობებში შეუძლებელია, რადგან თბილი წყალი უყვარს. შესაბამისად, ტბაში გაშვებული ზამთარში დაიღუპება. რეცენტრალური სისტემის საშუალებით არა მხოლოდ აფრიკული ლოქოს, არამედ ბევრი სხვა ჩვენი რეალბისთვის უცხო ჯიშის წყლის

ბინადრების – ზვიგენების, ნინაგების მოშენებაა შესაძლებელი... აფრიკული ლოქო ძალიან დიდი როლდენობით ცხიმის მუყაებს, და ვიტამინებს შეიცავს. კვლევების მიხედვით, ლოქოთი კვების შემთხვევაში, საგრძნობლად მცირდება კბოს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ინფარქტის რისკი. თევზი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კვების პროდუქტია. მასში შემავალ ვიტამინებს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს ბავშვის ტვინის ფუნქციონალური ჩამოყალიბების, მხედველობის, გულსისხლძარღვთა და ძვალსასხროვანი სისტემის განვითარებისთვის.

– თუ ახერხებთ, კონკურენცია გაუწიოთ იმპორტირებულ, გაყინულ თევზს?

– ჩვენთან თევზის 80% იმპორტირებულია, მაშინ, როცა საქართველო მდინარეების ქვეყანაა. ფასის თვალსაზრისით, ადგილობრივად წარმოებული თევზი შემოსულ პროდუქტს კონკურენციას ვერ უწევს. ასე რომ, ჩვენი დოვლათი გარეთ გადინება... თვეზი ჩვეულებრივი ცოცხალი ორგანიზმია. უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რა გარემოში, პირობებში გაზრდი, როგორ საკვებს მიიღებ. მსოფლიოს მასშტაბით ბევრი არაპოპულარული საწარმო მინახავს, რომლებიც ათათაობით ტონა თევზს ყიდენ. საქართველოში თევზის უმადლესი ხარისხის საკვების მომწოდებელი არ არსებობს. საერთოდ, თევზის ინდუსტრია სავალალო მდგომარეობაშია. დარბეულია თევზის კერძებიც.

– სამომავლოდ მეურნეობის გაფართოებას ან სხვა სფეროების ათვისებასაც ხომ არ აპირებთ?

– აკვადემიის გარდა, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, არსებობს კიდევ ორი თანამედროვე მიმართულება: აკვადემიკა და პიდროპონიკა. პიდროპონიკა მცენარის წყალზე ზრდას გულისხმობს. ზრდის

ტემპი საგრძნობლად მაღალია, რადგან მცენარეს ზუსტად იმ რაოდენობის საკვები უნდა მიწოდდეს, რაც სხვა სხვადასხვა მისიხარის. ის ბევრად უფრო მარტივად იღებს მათ წყლიდან, ვიდრე მიწიდან. მიწაზე ზრდის შემთხვევაში ფესვები მოიძებენ ორგანულად მდიდარ ადგილებს და შეიძლება დაამუშავენ. ის ენერგია, რაც უმადლესა მცენარეს ზრდისა და განვითარებისთვის მოეხმარა, გადამუშავებისას იხარჯება. პიდროპონიკა, როგორც მცენარის უფრო სწრაფი ზრდისა და მეტი მოსავლიანობის მიღების საშუალება, მსოფლიო მასშტაბით დანერგულია, როგორც სახლის პირობებში, ისე კომერციულ წარმოებაში. რაც შეეხება აკვადემიკას, ეს სასათბურე მეურნეობაა წყალზე, რომელიც მცენარეებისა და თევზების ერთდროულად გამოზრდას გულისხმობს. სათბურში, ფაქტობრივად, ხელოვნური ეკოსისტემა ეწყობა, რომელიც ორმაგად მოშვებია – ერთდროულად შეიძლება ორი ტიპის პროდუქტის მიღება და თანაც, ვაცილებით ნაკლები საწარმო ხარჯებით, ვიდრე ტრადიციული სასათბურე მეურნეობის შემთხვევაში.

– თევზის წარმოებაში სულ რაღაც ორი წლის წინ ჩაერთეთ. მანამდე რას საქმიანობდით?

– ყოველთვის მაინტერესებდა ისეთი პროექტების დანერგვა-განვითარება, რომელიც ერთდროულად მოხმარებლისთვისაც ღირებული იქნება და კომერციულადაც წარმატებული. ბიზნესსაქმიანობაში 15 წლიდან ვარ ჩართული. ყოფილა როგორც წარმატებული, ისე წარუმატებელი მცდელობები. სრულდებოდა სხვადასხვა კომერციული პროექტი წამოვიწყე. ეს, ძირითადად, ინტერნეტ უკავშირდებოდა. მყავდა, ასევე, ჯგუფი, რომელიც სარემონტო სამუშაოებს აწარმოებდა. ამ

პერიოდში კლიენტთან ურთიერთობის, “დედლინის” ფასი გავიგე. ოთხი წელი ვთანამშრომლობდი კომპანიასთან, რომლის მიმართულებას ამერიკელი სტანდარტით მუშაობის გამოცდილება ჰქონდათ და მის ქართულ რეალობაში დანერგვას ცდილობდნენ. პარალელურად, ჩემს მცირე ბიზნესებს ვაკონტროლებდი. ასე რომ, ვირგებდი როგორც დაქვემდებარებულის, ისე დამსაქმებლის როლს და ეს წარმატებულ მუშაობაში მიწყობდა ხელს. ბოლო რამდენიმე წელია უცხოელ პარტნიორებთან ერთად ვმუშაობ. კონსულტაციას გუწვევ დიდი კაპიტალის დაბანდების მსურველ უცხოელებს. რამდენიმე წელი უძრავი ქონების შემფასებლად ვიმუშავებ ბიზნესის ანალიზი და შეფასება მიწვევდა, რის შედეგადაც მისი სპეციფიკა და ქართული ბაზარი კარგად შევისწავლე.

– დაასახელოთ მთავარი ბარიერები, რასაც საქმიანობისას წააწყდით?

– თავდაპირველად ვუიქრობდი, რომ მთავარი პრობლემა საქართველოში კაპიტალის არარსებობა იყო, მაგრამ ბევრი ბიზნესი ვნახე, რომელიც დიდი შემართებითა და სერიოზული კაპიტალით დაიწყო, მაგრამ წარუმატებლად ჩაიხურა. ცალსახად – ეს არაპროფესიონალიზმის შედეგია. ჩვენ ამის სერიოზული პრობლემა გვაქვს.

– იქნებ ეს არაპროფესიონალიზმი უფრო ნებოტიზმის შედეგია და არა კვალიფიციური კადრების არარსებობის?

– ვფიქრობ, თუ კარგი კადრია, არ დაიკარგება. გარდა ამისა, ქართველ ხალხს არ ჰქონდა ბიზნესის შესწავლის დრო, უფრო სხვა პრიორიტეტები იდგა დღის წესრიგში. ამ მიმართულებით გზა დაახლოებით ბოლო 10-15 წელია გაიხსნა.



ვინ არის ქალბატონი ლეილა მუსთაფაევა და რა საიდუმლოს მალავს იგი?

დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუსთარლის საქმესთან დაკავშირებით. უკვე დასტურდება, რომ მუსთარლის საქმეზე აუთენტური სპეციალურად შექმნილი, რომლის მიზანიც საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე დასუსტებაა.

სპეციალისტების აზრით მუსთარლი არაფერს აინტერესებს, აქ არის გააქტიურებული ფიგურა ქალბატონი ლეილა, რომელიც უხეშად ერევა ქართულ პოლიტიკაში. მთელი პრესა და ეს არასამთავრობო ორგანიზაციები აყოლილნი არიან მას და დიდი ქორო დაუყენეს უკან. მუსტაფაევის აძლევენ შესაძლებლობას შეურაცხყოფა მიყენოს საქართველოს, რაც მისაღებია ტულუშებისთვის, ნაცვლიშვილებისთვის, გიგაურებისთვის და ა.შ.

ღრმად უნდა ჩავხედოთ, თუ რატომ არის მუსთარლის საქმე ასეთი აქტუალური. პირველივე დღეს ყველამ იცოდა, რომ მოიტაცეს, როგორ მოიტაცეს და პირველივე დღიდან ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ე.წ. პოლიტიკაში ატეხეს განგაში, რომ მოიტაცეს, აწამეს და ა.შ. ვინც დაგეგმა ეს ყველაფერი იმათგან იცოდნენ დეტალები და უბრალოდ ავრცელებდნენ იმ ინფორმაციას, რომელიც იყო საჭირო. საქართველოში, რომ ანტიალიგების ცენტრია შექმნილი, ეს ხომ ყველამ იცის, მაგრამ არავინ ლაპარაკობს. სწორედ ამ ცენტრს წარმოადგენს ქალბატონი ლეილა და აქედან ცდილობენ აღიფრთხილებოდნენ.

ეს ყველაფერი მოთელვას ჰგავს. რატომ არ ჩადის ქალბატონი ლეილა ხანუში ბაქოში, მაგას ხელს ვინ მოკიდებს, ერთი ანუელა დევისი გავახსოვს და მეორე ლეილა, რომელსაც ხელს არ მოკიდებენ. თავდებში დაუდგება აშშ-ის საელჩო, იტალიის, ჩინეთის, სინგაპურის ... ჩავიდეს და დაელაპარაკოს მის ქმარს, ის ხომ იქ არის და არა საქართველოში, რატომ არის ამხელა შეტევა საქართველოზე და არა აზერბაიჯანზე?

ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ ჩვენი მეგობრის, ჟურნალისტ ვახტანგ ხარჩილავას წერილს.

ქალბატონმა ლეილამ შესანიშნავად იცის, რომ მისი მეუღლე არავის გაუტაცია.

აფგან მუსთარლის საქმესთან დაკავშირებით ლამის მთელი მსოფლიო, თავისი პატივსაცემი სახელმწიფო სტრუქტურების და ნაკლებად პატივსაცემი საერთაშორისო არასამთავრობოებით, ათასი ჯურის ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებით საქართველოსკენ იშვერს თითს და მას ჟურნალისტ აფგანის გატაცების ორგანიზებასა და თანამონაწილეობაში სდებს ბრალს, თუმცა ჯერჯერობით ამის დამამტკიცებელი არანაირი საბუთი არ არსებობს და მთელი ეს ალი-აქოთი და ისტერიული წივილი-კივილი აზერბაიჯანული ციხიდან მუსთარლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა – სადამო ხანი იყო, მეგობართან ერთად კაფეში ჩაი დავლიეთ. იქიდან გამოსულმა ლეილასთან, ჩემს მეუღლესთან, დავრეკე – სახლში მოვიდვარ და რაიმე ხომ არ გინდათ რომ წამოვიდო. მარკეტში შევედი და პური ვიყიდე. 4 ნომერი სამარშრუტო ტაქსის გაჩერებასთან ვიდექი. უცებ სამი მამაკაცი მომიახლოვდა. მტაცეს ხელი, მანქანაში ჩამტყნეს, თავზე ტომარა წამომატვეს და გაურკვეველი მიმართულებით წამიყვანეს. გამტაცებლები ქართულად ლაპარაკობდნენ. რაღაც დროის შემდეგ სხვა მანქანაში გადასვეს. გამტაცებლების ახალი ჯგუფის წევრები აზერბაიჯანულად საუბრობდნენ...

აქ გაეწვივით ბატონი აფგანის თხრობა, რადგან ამბები, რომლებიც ამის შემდეგ მის თავს დატრიალდა, უკვე აზერბაიჯანულ მხარეს ეხება.

ქართველმა სამართალდამცავებმა დაკითხეს 200-მდე ადამიანი, რომლებიც იმ დროს, როცა აფგანის ვერსიით, მას ვიღაც ვიღაცები მანქანაში ტყინდნენ, შემთხვევის ადგილას იმყოფებოდნენ და, ჰოი, საოცრუ-

ბაჲ, ამ ორასი კაციდან ერთიც არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ამ ინციდენტს შეესწრო.

აფგანი, სპორტული აღნაგობის, ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი მამაკაცია და, უნდა ვივარაუდოთ, რომ როცა მას სამი უცნობი ადამიანი დაესხა თავს და მანქანაში ძალის გამოყენებით ჩასმა დაუპირა, ის აუცილებლად გასწევდა წინააღმდეგობას, რასაც ასევე აუცილებლად მოჰყვებოდა ხმაური, ყვირილი, აყვამყალი, რაც ასევე აუცილებლად მიიქცევა გამოვლელ-გამომვლელთა ყურადღებას.

ამ ორასი კაციდან, როგორც ვთქვით, არავის მსგავსი რამ არ უნახავს.

რა გამოდის? აფგანი, ეს ათლეტური აღნაგობის, ჯირკვივით ჩახსმული კაცი, ბატკანივით აიტატეს ხელში და ნარნარად ჩასვეს მანქანაში ისე, რომ აფგანს არც წინააღმდეგობა გაუწევია და არც არავისთვის უხმია საშველად – მიშველეთ, ვიღაც ბანდიტები მიტაცებენ და დამეხმარეთო.

კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება – ეს ამბავი სადამოს საათებში ხდება, როცა ჯერ კიდევ დღის სინათლეა და ქუჩაში უამრავი ადამიანი მიდი-მოდის.

თავი დაგანებოთ იმ ორას მოქალაქეს – დანარჩენი უამრავი ადამიანიდან ერთმა მაინც როგორ ვერ დაინახა, რომ დღისით-მზისით ქუჩაში ადამიანს იტაცებდნენ და თუნდაც ინკოგნიტოდ, ვთქვათ და facebook-ით როგორ არ ამცნო საზოგადოებას – კი, ჩემი თვალით ვნახე ყველაფერი, რა და როგორ იყო, მაგრამ, რა ვქნა, მეშინია და ჩემს ვინაობას ვერ გავამჟღავნებო.

აი, ამის მოქმედი ერთი კაცი მაინც რატომ არ გამოჩნდა ამდენი ხნის განმავლობაში?

იქნებ იმიტომ ვერ დაინახა ვერაფერი, რომ დასანახი არც არაფერი ყოფილა და ის, რასაც ბატონი აფგანი ჰყვება, სიცრუეა?

– შემთხვევის ადგილას უამრავი ვიდეოკამერაა, რომლებიც აუცილებლად დააფიქსირებდნენ მომხდარს. ამოიღეთ კადრები და გაასაჯაროეთო, – მოუწოდებენ სამართალდამცავ ორგანოებს. კი, მაგრამ, რა უნდა გაასაჯაროვონ სამართალდამცავებმა, საიდან მოიტანონ აფგანის გატაცების ამსახველი კადრები, თუ გატაცება არ ყოფილა და, აქედან გამომდინარე, ასეთი კადრებიც ვერ იარსებებს.

რა ქნას ამ შემთხვევაში მსხ-მ, პროკურატურამ, სუს-მა – „გატაცების“ სცენები დადგან და გადაიღონ, რომ მუსთარლის ფანების სურვილი როგორმე დააკმაყოფილონ და „დოკუმენტურად“ დაადასტურონ?

ჰო, მაგრამ მთავარი როლის შემსრულებელი საიდან მოიყვანონ – აფგანი ციხეში ზის და მისი ორეული საიდან გააჩინონ?

რაღაც უცნაური სურათი იკვეთება – რაღაც შთაბეჭდილება, რომ აფგან მუსთარლის ქომაგებს, შინ თუ გარეთ, სიმართლის დადგენა კი არ აინტერესებთ, არამედ სულ სხვა მიზანი ამოძრავებთ, კერძოდ, რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, იმიჯი შეუღახონ საქართველოს და წარმოაჩინონ იგი, როგორც არადემოკრატიული, არასაიმედო ქვეყანა, სადაც ადამიანებს დღისით, მზისით, იტაცებენ.

ვინ შეიძლება ამით დაინტერესებული იყოს?

ძალიან ბევრი ვინმე, მათ შორის კი ყველაზე მეტად საქართველოში არსებული ოპოზიციური პარტიები, განსაკუთრებით „ნაციონალობა“ და მისი განაყოფი პარტიები, რომლებმაც სახელი კი გადაირქვეს, მაგრამ რწმენით, იდეოლოგიით, მოწოდებით მაინც „ნაციონალბად“ დარჩნენ.

როგორც ირკვევა, მუსთარლის და მის ჯგუფს გამორჩეული ძმობა და ყონალობა აკავშირებთ ზემოთნახსენებულ პოლიტიკურ ორგანიზაციების ლიდერებთან, ამ ძმობას კი, როგორც ამბობენ, ფრიალ სერიოზული პოლიტიკური გეგმები უდევს საფუძვლად. როგორც ჩანს, რაღაც ძალებს ძალიან სურთ არაბული გაზაფხულის ანალოგიური აზერბაიჯანული გაზაფხული მოიყვანონ

და ამისთვის საქართველოში გადმოფრენილ აზერბაიჯანელ „მერცხლებს“ აქტიურად იყენებენ.

აფგანი ერთ-ერთი ასეთი მერცხალთაგანია, რომელსაც მშობლიურ გალიაში ალბათ დიდხანს გამოკეტავენ.

საქართველოში მოღვაწე აზერბაიჯანული დიასპორის საქმეებში კარგად ჩახედული პირის ინფორმაციით, რომელმაც თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა, აფგან მუსთარლი ჟურნალისტი არ არის და არც არასდროს ყოფილა.

– აფგანს ჟურნალისტიკასთან ისედაკავშირებს, რომ ის ერთ დროს ცნობილი აზერბაიჯანელი ჟურნალისტი ხატოჯე ისმაილოვას პირადი დაცვის წევრი იყო, ახლა კი ჟურნალისტ ლეილა მუსტაფაევის მეუღლეა.

წერილები, რომლებიც აფგან მუსთარლის სახელით ქვეყნდება, სინამდვილეში ლეილა მუსტაფაევის კალამს ეკუთვნის, რომელიც ძალიან ნიჭიერი და გონიერი ქალბატონია და იმ ოპოზიციურ ჯგუფში, რომელიც პრეზიდენტ ალიევის უპირისპირდება, ერთ-ერთ წამყვან ფიგურას წარმოადგენს.

ამ ჯგუფში აფგანი უფრო ტექნიკურ და ფინანსურ საკითხებს კურირებს, საგანგებო ჟურნალისტიკა კი, როგორც ვთქვით, ქალბატონი ლეილას პროფილია. ძნელი ასახსნელი არ არიას, თუ რატომ აქვეყნებს ის წერილებს მეუღლის სახელით და რატომ ამჯობინებს ჩრდილში ყოფნას. ებრძოლო პრეზიდენტ ალიევს და მის აშკარად ავტორიტარულ მმართველობას, ცხადია, დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

სწორედ ამიტომ გადაწყდა ფრიალ კრიტიკული და მამხილებელი პუბლიკაციების გამო პასუხისმგებლობა აფგანს ეტვირთა და ამ ნაბიჯით მოსალოდნელი დარტყმები ქალბატონი ლეილასთვის აერიდებინათ.

ეს რომ არ გაეკეთებინათ, შეიძლებოდა დღეს აზერბაიჯანულ ციხეში აფგანი კი არა ლეილა მჯდარიყო...

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქალბატონმა ლეილამ ზუსტად იცოს მის მეუღლესთან დაკავშირებული საიდუმლოს ყველა დეტალი და ისიც იცის, რომ აფგანი იმ ავბედით სადამოს არავის გაუტაცია.

ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ლეილა მუსტაფაევის მიერ ერთ-ერთი ქართული ტელევიზიისთვის მიცემული ინტერვიუ, სადაც ის უცნაურ, ლოგიკას მოკლებულ პასუხებს იძლევა ჟურნალისტის კითხვაზე, თუ როდის განაცხადა მან ოფიციალურად მეუღლის გაუჩინარების ამბავი.

როგორც გახსოვთ, კაფედან გამოსულმა აფგანმა სადამოს მეუღლეს დაურეკა, რომ სახლში მოდიოდა, მაგრამ მთელი ღამე არ მოსულა.

იმის ნაცვლად, რომ ქალბატონ ლეილას დაუყოვნებლივ აეტყხა განგაში მეუღლის დაკარგვის გამო, მან გაუჩინარებული მეუღლე მხოლოდ დღით მოისაკლისა.

ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ არ დაიწყო მან მეუღლის ძებნა ღამის განმავლობაში, ქალბატონმა ლეილამ დაბნეული ღიმილით უპასუხა: კარგა ხანს ველოდე, მაგრამ მერე ვიფიქრე, ალბათ მეგობრებთან შეიარა და ამიტომ შეავიანდა-მეთქი. ამასობაში კი დაიძინა.

ქალბატონი ლეილა, კაცმა დაგირეკათ და გარკვევით ვითხარათ, რომ სახლში მოდიოდა. მეგობრებთან მივდივარ დროის სატარებლად და შემაგვიანდებო, ხომ არ უთქვამს, სახლში მოვდივარო, ვითხრათ და არ მოვიდა, თქვენ კი დაიძინეთ. კი მაგრამ რატომ არ შეგაშფოთათ იმ აზრმა, რომ სახლისკენ მომავალ თქვენს მეუღლეს, შეიძლება რაღაც უბედურება შემთხვეოდა ან მანქანა დაჯახებოდა, ან ვინმე დახვედროდა გზაში, ან, უბრალოდ, ცუდად გამხდარიყო და საავადმყოფოში წაეყვანათ.

ნორმალურ ადამიანს ამგვარი ფიქრები აუცილებლად მიეძაღებოდა და, შესაბამისად, ადეკვატურ ნაბიჯებსაც გადადგამდა – დაუყოვნებლივ დაიწებდა

დაკარგული ადამიანის ძებნას, თუმცა ქალბატონმა ლეილამ ეს არ გააკეთა.

რით შეიძლება ამის ახსნა?

რით შეიძლება და იმით, რომ ქალბატონმა ლეილამ შესანიშნავად იცოდა, რომ მისი მეუღლე რაღაც მნიშვნელოვან საქმეზე მიდიოდა და შინ გვიანობამდე ვერ დაბრუნდებოდა.

ამიტომაც იყო ის მშვიდად...

გამოდის, რომ ის ვერსია, რომელიც აფგანის გატაცებასთან დაკავშირებით საზოგადოებას შესთავაზეს, ტყუილია?

დიდი ალბათობით ისე ჩანს, რომ ეს ყველაფერი მართლაც ტყუილია, ტყუილი, რომელიც მოსალოდნელი ექსტრემალური სიტუაციის გათვალისწინებით ან წინასწარ შეითხზა, ან შეითხზა მოგვიანებით, უკვე მომხდარი ფაქტის განეიტრალების და გადაფარვის მიზნით, მაშინ, როცა ცხადი გახდა, რომ აფგანი აზერბაიჯანელმა მესახდრეებმა დააკავეს.

– გიორგი კვიციანი შეიძლება მუსთარლის მეუღლეს საქართველოს მოქალაქეობა რომ შესთავაზა, ეს კარგია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი – თვითონ მარგველაშვილი რატომ არ ანიჭებს აფგან მუსთარლის საქართველოს მოქალაქეობას? დიას, მარგველაშვილმა აუცილებლად უნდა მიანიჭოს აზერბაიჯანელ მუსთარლის საქართველოს მოქალაქეობა! – კატეგორიული ტონით განაცხადა რესპუბლიკელმა დავით ბერძენიშვილმა.

ჯერ მეგონა, ხუმრობდა პატივცემული დავითი, მაგრამ ამ „ბრწყინვალე“ იდეას სათანადო არგუმენტები რომ მოაყოლა, დავრწმუნდი, სახუმაროდ რომ არ იყო საქმე.

მოქალაქეობის მინიჭება არ კმარა, ომიც ხომ არ გამოუცხადოთ მეზობელ აზერბაიჯანს, ბატონო დავით, რომ გმირი აფგანი დავინახო?

ფიქრობ, ისე აქვს აკრფილი რესპუბლიკელ დავითს, რომ აზერბაიჯანისთვის ომის გამოცხადებაზე დაყოლიება მაინც-დამაინც არ უნდა გაგვიჭირდეს.

თუმცა დასაძაღბელი და დასაყოლიებელი, მე მეგონი, არც არაფერია – აფგანისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება, ვაქტობრივად, აზერბაიჯანისთვის ომის გამოცხადებას არ ნიშნავს?

– შეიძლება სახელმწიფო ინტერესებს მუსთარლისთვის მოქალაქეობის მინიჭებით რაღაც ზიანი მიადგეს, მაგრამ არა უშავს, დემოკრატია უფრო მნიშვნელოვანია და უფრო მეტად ფასობსო, – დაავიგებინა ბატონმა დავითმა თავისი გამოსვლა.

რა თქმა უნდა, ბატონო დავით, რა თქმა უნდა, დემოკრატია და ლიბერალური ღირებულებებია მთავარი, თორემ ქართული სახელმწიფო წყალსაც წაუღია.

„ეწერ ამ სტრიქონებს და გულწრფელად მივირს: რამდენი ასეთი დავითი ჰყავს ამ ბედურულ საქართველოს, ზოგი დავითის ხნისანი, ზოგი შედარებით ახალგაზრდა, ზოგიც მთლად საყმაწვილო ახაკის, რომლებიც დაახლოებით ისე ფიქრობენ, როგორც ეს ბრძენბარძენი დავითი ფიქრობს.

ესენი ახალი დროის ალი ფეოდოსიშვილები არიან, ოღონდ ამის შესახებ თვითონ არაფერი იციან.

ვინ იყო ალი ფეოდოსიშვილი?

ვინ იყო და გასული საუკუნის 30-იანი წლების პროლეტარულტელი მეღეკესე, რომელმაც ასეთი „უკვდავო“ სტრიქონები დაუტოვა შთამომავლობას.

„ღედას მოგვლავ და დავახრჩობ მამას, რეველუციო თუ ითხოვს ამას“.

ჩახუთი აქ რეველუციის ნაცვლად სიტყვა „დემოკრატია“ და დავით ბერძენიშვილს და მის თანამოაზრეებს მიიღებთ, თუმცა აღისა და მათ შორის მაინც არის ერთი მცირე განსხვავება – ალი მხოლოდ თავის დედ-მამას ერჩოდა, ესენი მთელ სახელმწიფოს ერჩიან!

მანხანა ხარჩილავა

ჰამბურგის 20-ის საბიტი

ჰამბურგში გამართულმა „დიდი ოცეულის“ შეხვედრამ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან თვით საბიტი მონაწილე ქვეყნების მოსახლეობა, აგრეთვე მოწვეული ქვეყნებისა, მსოფლიო მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენს. ეკონომიკური თვალსაზრისითაც „დიდი ოცეულის“ წევრი სახელმწიფოები, მსოფლიო პროდუქციის წარმოებით, გაცილებით აჭარბებენ დანარჩენ მსოფლიოს.

თავის დროზე შექმნილი ეკონომიკური საბიტი, ნელ-ნელა ეკონომიკურ-პოლიტიკურ სამიტად იქცა, რაც ასევე არ უნდა გაგვიკვირდეს, ვინაიდან ძნელია დღეს გაარკვიო სად იწყება ეკონომიკა და რა გავლენას ახდენს ის პოლიტიკაზე ან პირიქით. 20-ს შეხვედრა წელიწადში ერთხელ იმართება და მსჯელობს მსოფლიოში შექმნილ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაზე, დასკვნის სახით იღებს გადაწყვეტილებას, რომლის შესრულება უნდა წაადგეს მსოფლიოს.

ჰამბურგის საბიტი, წინა საბიტებისგან, ბევრი რამით იყო განსხვავებული, რაც გამოწვეული იყო აშშ-ს ახალი პრეზიდენტის მთელ რიგ საკითხებისადმი სხვაგვარი მიდგომა. აშშ-ს განსხვავებული პოზიცია ჰამბურგის საბიტამდე გაცილებით ადრე დაფიქსირდა „დიდი შვიდეულის“ და ნატოს საბიტებზე. მაშინ აშშ-ს პრეზიდენტმა ტრამპმა გაიმეორა ის, რასაც პრეზიდენტობის წინასაარჩევნო კამპანიის დროს არაერთხელ თქვა – ნატოსადმი სხვაგვარი დამოკიდებულება, ასევე ევროკავშირისადმი, პარიზის კლიმატის შეთანხმებისადმი ნეგატიური განწყობა, ლტოლვილების მიღების მიმართ მკაცრი ზომების გატარება და სხვა.

საბიტის მასპინძელი ქვეყნის კანცლერს ანგელა მერკელს კარგად მოეხსენებოდა აშშ-ს პრეზიდენტის პოზიცია, მაგრამ მაინც ფიქრობდა, რომ ტრამპი შეცვლიდა თავის მიდგომას პარიზის კლიმატის ხელშეკრულებისადმი. სასწაული არ მოხდა – ტრამპმა პოზიცია არ შეიცვალა, რაც იმას ნიშნავს, რომ 20-დან 19-ს მიერ იქნა მიღებული ჰამბურგის დოკუმენტი.

ჰამბურგის სხვა რამითაც დარჩება ამგვარი საბიტების ისტორიაში. მაინც რა ჰქონდა ჰამბურგს დასამახსოვრებელი?

უპირველეს ყოვლისა ის, რომ საბიტში მონაწილე ქვეყნები ძირითადად ერთმანეთთან მოლაპარაკებას (ორმხრივი, სამხრევი) ამჯობინებდნენ, ვიდრე საბიტის პროგრამით გათვალისწინებულ საერთო სხდომებზე დასწრებას. ორმხრივი შეხვედრების გრაფიკი კი ისე მჭიდროდ იყო შედგენილი, რომ მოლაპარაკების დრო არასაკმარისად ჩანდა, რაც ძალაუბრებურად იწვევდა დიალოგის გაგრძელებას და აქედან გამომდინარე მიმდევრობით შეხვედრაზე ან საერთო სხდომაზე გადავიანებას.

გადაუჭარბებულად შეიძლება ითქვას, რომ ორმხრივმა მოლაპარაკებებმა დანარჩენს პლენარული სხდომები – საბიტის მთავარი მიზანი და დანიშნულება, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან 20 ქვეყნის და მიწვეული სახელმწიფოების მეთაურების შეხვედრა-საუბრებისთვის

ნოყიერი ნიადაგია შექმნილი ამგვარი საბიტების დროს. ერთმანეთთან დალაპარაკების სურვილი იმდენად დიდია, რომ მისი საბიტის ჩარჩოებში მოქცევა ფაქტიურად შეუძლებელია.

დიდ პოლიტიკაში მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რაც ხშირად არ იძლევა ორი ქვეყნის მეთაურის ერთმანეთთან პირისპირ დალაპარაკების შანსს ანუ დალაპარაკების მიზნით ოფიციალური ვიზიტის განხორციელებას. ასეთს შესაბამისი პროტოკოლური და რაც მთავარია პოლიტიკური სარჩული ესაჭიროება. ავიღოთ მაგალითად აშშ-ს პრეზიდენტის ტრამპის, რუს კოლეგა პუტინთან შეხვედრა. ტრამპის წინააღმდეგ აგორებული ისტორიის გამო პუტინთან შეხვედრა რუსეთში, აშშ-ში ან ნეიტრალურ ქვეყანაში ფაქტიურად შეუძლებელი გახდა.

ანტირუსული კამპანიის გამო ვერც პუტინი იქნებოდა სასურველი სტუმარი ტრამპისთვის და ვერც ტრამპი გადადგამდა ნაბიჯს მოსკოვისკენ, ვინაიდან უმაღლესი ხელისუფლებამ ტრამპის მოწინააღმდეგე ბანაკი – ხედავთ, თავისი ბოსის სანახავად ტრამპი მოსკოვში ჩადისო. მოსკოვს ხომ იმაში ადანაშაულებენ, რომ ფარული მონაწილეობა მიიღო აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში და დიდი ზეგავლენა იქონია ტრამპის გამარჯვებაზე.

ასეთ დროს ისეთი საბიტით სარგებლობა, როგორც 20-ა, დიდი შედეგია. აქედან გამომდინარე, საბიტის მსვლელობის დროს, ორმხრივი შეხვედრები ჩვეულებრივი რამ არის. მასპინძელი მხარე მუდამ ითვალისწინებს მოსალოდნელ ორმხრივ შეხვედრებს და საორგანიზაციო თვალსაზრისით შესაბამისი სამუშაოებს ატარებს (მოსალოდნელი ოთახის გამოყოფა, ჟურნალისტებისთვის სამუშაო პირობების შექმნა და სხვა ტექნიკური თუ არატექნიკური საკითხების მოგვარება).

ჰამბურგის საბიტი უდავოდ შევა მსოფლიოს უახლოეს ისტორიაში როგორც რუსეთ-ამერიკის პრეზიდენტების პირველი შეხვედრის ადგილი და 20 ქვეყნების წინააღმდეგ ევროპელთა და არა მარტო, უმწვავესი გამოხვედრის, დემონსტრაციების, პოლიციასთან ბრძოლის ადგილი.

„დიდი შვიდეულისა“ და „დიდი ოცეულის“ საბიტების მასპინძელი ქვეყანა შეხვედრის ადგილად ქალაქების ცენტრიდან მოშორებით მდებარე ნაკლებად დასახლებულ ტერიტორიას ირჩევს, ამით თავიდან იცილებს (ნაწილობრივ) მოსალოდნელ დემონსტრაციებსა და მანიფესტაციებს. ასეთებს კი ყოველი საბიტის დროს აქვს ადგილი. ქალაქიდან მოშორებით ჩატარებული ღონისძიება გაცილებით ადვილი დასაცველია. პოლიცია შედარებით ადვილად ართმევს თავს დემონსტრანტთა შეტევებს და პროცესს, ანარქიაში გადასვლის საშუალებას არ აძლევს.

20-ს ბოლო შეხვედრის ადგილად მასპინძელმა მხარემ ჰამბურგი აირჩია, თანაც ამ საპორტო ქალაქის ცენტრი. პროტესტანტებმა იქ საბიტის დაწყებამდე მოიყარეს თავი. ისინი მატარებლებით, ავტობუსებით, ავტომანქანებით ჩავიდნენ ჰამბურგში არა მარტო გერმანიიდან, არამედ ევროპის ქვეყნებიდან. და ისეთი ბრძოლა გამართეს პოლიციასთან, მსგავსს რომ ადგილი არ ჰქონია საბიტების ისტორიაში. დანაგრევის და გაძარცვის მაღალი რისკი, დაწვეს ავტომანქანები, მათ შორის „პორშეს“ ავტოსალონი, აყარეს ქვით მოკირწყლული ქუჩები, სერიოზული ზიანი მიყენეს 200-ზე მეტ პოლიციელს.

საპროტესტო, რადიკალური გამოხვედრები ევროპის ქალაქებისთვის ჩვეულებრივი რამ არის, მაგრამ ჰამბურგისამ ყველას გადააჭარბა. რით არის ყოველივე გამოწვეული? – უპირველეს ყოვლისა გამალებული გლობალიზაციით. გლობალიზმის წინააღმდეგ ბრძოლით, სოციალური უთანაბრობით, სოციალური პრობლემების რაოდენობის სიმრავლით,

ეკოლოგიური საკითხებით, ლტოლვილების შემოსევით და სხვა.

დემონსტრანტთა თავდასხმის საშიშროებები იყვნენ 20-ს წევრი ქვეყნების ლიდერები, განსაკუთრებით პრეზიდენტი ტრამპი. საპროტესტო გამოსვლებმა მიიქცა ზარალი მთავრად, ისე, როგორც გერმანიის იმიჯს, რის შესახებაც განაცხადა გერმანიის ვიცე-კანცლერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ზიგმარ გაბრიელმა. ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომები, ომი ავღანეთსა და სისხლიანი დაპირისპირება უკრაინაში, ტერორისტული აქტები და სხვა მრავალი არის ის დეტონატორი, რომელიც იწვევს მსგავს ხალხმრავალ მანიფესტაციებს, რაც ხშირად გადადის ანარქიაში.

ჰამბურგის საპროტესტო გამოსვლა, მარტო გერმანიისა არ იყო. ის მთელ ევროპას ეკუთვნოდა, რაც თავისთავად მეტყველებს ერთზე – ხალხი უკმაყოფილოა მის მიერ არჩეული ხელისუფლებისა. გერმანიის ხელისუფლებას, ისე, როგორც სხვა ქვეყნების, შესაბამის დასკვნებს გააკეთებს ჰამბურგის პროტესტის გამო და ადეკვატურ ნაბიჯებსაც გადადგამს. თუ რამდენად სასარგებლო იქნება – მომავალი გვიჩვენებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჰამბურგის საბიტი ორმხრივი შეხვედრებით იქნება გამორჩეული და მათში – ტრამპ-პუტინის დიალოგი. საბიტამდე მთელი დასავლური მედია, მათ შორის ამერიკული, აცხადებდა, რომ შეხვედრა ზედამართული იქნებოდა, შესაძლოა ფეხზე დგომით და არა უმეტეს 30 წუთისა.

ზოგი რას წერდა და ზოგიც რას ორთა სალაპარაკო თემებთან დაკავშირებით. აქცენტს აკეთებდნენ სირიასა და უკრაინაზე, ორი ქვეყნის ლიდერი 20-ს საბიტამდე მძიმე ტვირთით მივიდნენ – ტრამპი, როგორც პუტინის მიერ დასმული და პუტინის „კაცის“ ტვირთით დამძიმებული; პუტინი, როგორც აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში ხელის მოფარევი, მსოფლიოს ცივილიზაციის წინააღმდეგ მებრძოლი, ყირიმის მიმთვისებელი, ევროპის ქვეყნებისთვის სამხედრო საფრთხის გამოწვევი, ნეგატიური პიროვნება.

პირისპირ შეხვედრა 2 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, რაც თავისთავად მეტყველებს მხარეთა შორის კავშირების დაწყების სურვილზე. ტრამპს ეს სურვილი წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობიდან გამოჰყვა. ის, ხომ მუდამ აცხადებდა რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

და ალბათ ასეც იქნებოდა პრეზიდენტად გახდომის პირველსავე დღეებიდან დაწყებული, მაგრამ აშშ-ს პოლიტიკოსთა და მედიის გარკვეული და მნიშვნელოვანი წრის მოქმედებით, ვერაფრით მოხერხდა პრეზიდენტ ტრამპის დასახული მიზნის განხორციელება. პირიქით, ტრამპის მხრიდან აშკარა ანტირუსული განცხადებებიც გაისმა. რა იყო ეს, მოწვევებითი რუსოფობობა თუ იძულებითი პოლიტიკური „ტრიუკი“, გათვალისწინებული საშინაო ბაზრისთვის?

უფრო მეტიც, ჰამბურგში ჩასვლამდე, ტრამპმა ვარშავაში შეიარა და ისეთი ანტირუსული ცეცხლი დაანთო, პოლონეთის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების და მათ შორის საქართველოს გულებს მალამოსავით რომ დაედ.

და ერთი დღის შემდეგ ჰამბურგის 2-სათიანი მოლაპარაკება, ორივე პრეზიდენტის განცხადება, რომ შეხვედრით კმაყოფილები არიან.

და დაღვრემილი ამერიკული პოლიტიკური ელიტა და ასევე დაღვრემილი პოლონელი, ბალტიისპირელი ყოფილი საბჭოელები, განსაკუთრებით უკრაინელები და ქართველები. ისინი ესოდენ ხანგრძლივ დიალოგს, მითუმეტეს მის დადებით შეფასებას დიალოგში მონაწილეთა მხრიდან, არ ელოდნენ.

და დაიწყო ამერიკული მედიის მიერ

მოლაპარაკების თანმხვედრი „ბოლო პროტოკოლის“ ანუ ტანის მოძრაობის, გამომეტყველების, მიმიკის დრმა შესწავლა-განხილვა. დასკვნა – ტრამპმა წააგო პუტინთან; პუტინი გამოცდილი პოლიტიკოსია, მან უკვე აშშ-ს 3 პრეზიდენტი გამოიცვალა; პუტინი ცბიურია და ტრამპი მას წამითაც არ უნდა ენდოს; რუსეთთან დაპირისპირება ოლოდ ძალის პოზიციიდან არის შესაძლებელი, სხვა მხრივ ის ყოველთვის მოუგებს პაქტობას აშშ-ს.

აშშ-ს პოლიტიკა, უფრო სწორად მისი მნიშვნელოვანი ნაწილი სამარადისო კონფრონტაციას ითხოვს რუსეთთან და წამითაც არ ფიქრობს, რომ მცირედმა გაუგებრობამ შეიძლება 2 ბირთვული სახელმწიფო ერთმანეთს შეახეთქოს. არც იმას ფიქრობს, რომ ასეთი „შეხუტებით“ გადარჩება თუ არა მსოფლიო.

ჰამბურგის საბიტი 2 პრეზიდენტის დიალოგის დაწყების მაუწყებელი იყო. მისი გაგრძელება არა მარტო ამერიკის პოლიტიკის საქმეა, არამედ ზემოთოყვანილი ქვეყნებისა და მათ შორის საქართველოს. ჩვენზე თითქოს არაფერია დამოკიდებული, ამერიკა-რუსეთის დაახლოების საკითხში. თითქოს. სინამდვილეში – ბევრი რამ. მაინც რა?

საქართველო უნდა შეეცადოს თავი აარიდოს ანტირუსულ გამოხედვებს, განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონში ე.წ. ბორდერიზაციის პედალირებას, პროვოკაციული აქციების მოწყობას და ა.შ.

„პროდერისაციის“ თუმა უდავოდ გამწვავდა 20-ს საბიტის წინ და საბიტის მსვლელობის დროს. გამწვავებული ვითარება სუფევდა დონბასშიც. უკრაინის მხარის მიერ გახსნილ პროვოკაციულ სროლებს სიკვდილიც მოჰყვა და ნგრევაც. დამოუბილებელი უკრაინელების და ქართველების გააქტიურება საბიტს უკავშირდებოდა. მიზანი?

ყურადღების მიპყრობა, რაც თავისთავად ავანტიურიზმა – ცეცხლთან თამაში. ამგვარი პოლიტიკით ვერც საქართველო და ვერც უკრაინა ფონს ვერ გაუვლენ. რუსეთი სახელმწიფოთა არა მარტო სამხედრო პოტენციალით, არამედ ეკონომიკურით, ენერგეტიკით და ა.შ.

უწინველი ორივეს, ხელი აეღოთ წვრილმანი „ხულიგნობისგან“, მოეკრიფათ ძალღონე და დაეწყოთ მოლაპარაკება რუსეთთან.

უკრაინის რა მოგახსენოთ, მაგრამ საქართველოს პოლიტიკა რომ სცოდავს, ფაქტია. ამერიკა შორს არის და მასზე დიდი იმედის დამყარება, პოლიტიკური სიხვეცა. რუსეთი დიდი, ძლიერი სახელმწიფოა. მას მთელ მსოფლიოში უწევს ანგარიშს, რაც დამტკიცდა 20-ს საბიტის დროს. ჩვენ კი ნაცვლად პოლიტიკური პრაგმატიზმისა, პოლიტიკურ დაპირისპირებას ვირჩევთ, რაც დამღუპველია ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

ქართული საზოგადოების ნაწილი ისე, როგორც პოლიტიკა, შიშობს რუსეთთან დალაპარაკებას და აცხადებს, რომ თუ უკიდურეს შემთხვევაში ამას ექნება ადგილი, საქართველო რუსეთის წინაშე მარტო არ უნდა დადგეს. მას ეკვერდს უნდა უმაგრებდეს აშშ-ში, სხვა ქვეყნების პოლიტიკოსები და დიპლომატები. მარტო ამ მოსაზრების გამოხატულება ფარდას ხდის მტკივნეულ საკითხს – სუვერენიტეტის არ არსებობას.

25 წლის დამოუკიდებლობის თავზე თუ რომელიმე ქვეყანასთან გვეშინია მოლაპარაკების გამართვა თანხმდები პირების გარეშე, დაღუპულა ქვეყნის საქმე. ამ მოსაზრების საჯაროდ განმცხადებლებს დამოუკიდებელი ქვეყანა ძუძუმწოვარა ბავშვი ჰგონიათ, რომელსაც დედის ან ძიძის გარეშე არსებობა არ შეუძლია. ის, რომ ქართული პოლიტიკა და საზოგადოების ნაწილი დაჩაჩანაკებულია, თვალნათლად ჩანს, მაგრამ ამ დონით?

3. კამლეტიძე პოლიტოლოგი



ზაურ კვარაცხელია ბლოგი

ღია მიმართვა საქართველოს ხელისუფლებას მთავრობას

პატივცემულო ხელისუფალნო!
 არ ვიცი რამდენად ხართ ჩვენი სამშობლოსათვის სტრატეგიულად და სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღებაში თავისუფალნი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავს ვთვლი მოვალედ შეგახსენოთ, რომ ეს ფაქტურად არაშემდგარი სახელმწიფო უკვე რეალურად დადგა დილემის წინაშე..

მოკლედ გეტყვით: აშკარაა, რომ საქართველო მოექცა ბირთვული ქობინებით აღჭურვილი და წარმოუდგენლად დამანგრეველი ტექტონიკური იარაღის მფლობელი ზესახელმწიფოების გლობალური დაპირისპირების არეალში! საქართველო იქცა ერთგვარ სააზარეო მოედნად, სადაც პლანეტის ზესახელმწიფოები ღამობენ საკუთარი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული უპირატესობის მოპოვებას! აფხაზეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი უკვე ოკუპირებულია რუსეთის მიერ! დანარჩენი ე.წ. საქართველოს ტერიტორიაც ასევე აშშ-ს მიერაა ოკუპირებული! რაც ყველაზე უფრო სავალალოა – აშშ წარმატებით ახორციელებს ქართველი ერის სულიერ ოკუპაციას! დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში ე.წ. ევროატლანტიკური და ლიბერტიანული ფასიულელების აქტიური აგენტურა-პროპაგანდის შედეგად ქართველი ერის მნიშვნელოვანი ნაწილი

უკვე დეგრადირებული და დენაციონალიზებულია! ერთი სიტყვით, საქართველო უფსკრულის პირასაა და თუ დროულად არ იქნა სიტუაცია გაანალიზებული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მომავლის პერსპექტივის თვალსაზრისით სწორი გადაწყვეტილებები მიღებული – ყველაფერი ძალიან მალე დასრულდება! დაიღუპება, საბოლოოდ დაიღუპება ჩვენი ერი და ქვეყანა! ფაქტია, რომ ქვეყანა გადავაყოლეთ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრების მანიაკალურ სურვილებს! აშკარაა, რომ სწორედ ამის გამო წავგართვა ჩრდილოელმა მეზობელმა ჩემს მიერ ზემოთხსენებული ტერიტორიები! აშკარაა, რომ უსწრაფესად და კარდინალურად სავარაუდო იქნებოდა თუ არ შეიცვალა – დეზინტეგრაციის პროცესი მომავალშიც კიდევ უფრო გაღრმავდება და შეუქცევად ხასიათს მიიღებს! აშკარაა, რომ ერის და სახელმწიფოებრიობის გადარჩენის გზა მალე უნდა იქნას გამოჩნდილი! აშკარაა, ჩვენი სამშობლოს მომავალი გამთლიანების გასაღები არც ბრიუსელშია და არც ვაშინგტონში! აშკარაა, რომ მოსკოვთან ურთიერთობის პრობლემის, ურთიერთინტერესების დაბალანსების, ურთიერთშეთანხმების გარეშე არათუ გამთლიანება, არამედ სრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფიასკო და კატასტროფა გარდაუვალია..

პატივცემულო ხელისუფალნო!
 ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დაბეჯითებით მოგიწოდებთ დაიწყეთ რუსთა ზესახელმწიფოს ხელისუფლებასთან უმაღლეს დონეზე დიალოგი! გახსოვდეთ, რომ სამშობლო გადასარჩენია!

გახსოვდეთ, რომ დრო არ ითმენს და თუ მართლა არ ხართ კორდონებს იქიდან მართული მართონებები (რისი ძალიან საფუძვლიანი ეჭვითაც არსებობს), მაშინ ალას-რულეთ წმიდათა წმიდა ვალი კოლხური-იბერიული სახელმწიფოს წარსული, აწმყოს და მომავლის წინაშე!
 მაშ, გისურვებთ წარმატებას მიმდინარე ურთიერთობებში და გარჯაში!

კიდევ ერთხელ მავთულხლართითან დაპაფუძირებით...

ქართული საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი აღშფოთებას, რომ ვერ მალავს – არიქა, მავთულხლართები გადმოწიეს რუსებმა და რომ არის ერთი რია-რია... აი, ამასთან დაკავშირებით მინდა კიდევ ერთხელ გამოვიხატო ჩემი პოზიცია... ამავდროს მავანთა საყურადღებოდ აპრიორულად ვაცხადებ: ამის გამო ნურავინ შეეცდება ტალახი მესროლოს! ნამდვილად უპირატესი ყველა ღრმად დაფიქრდეს არსებული სიტუაციის გარშემო და სადაც, ადექვანტურად შეაფასოს პროცესები...

ახლა კი, რა მინდა ვთქვა: მთელი უბედურება იმაშია, რომ ქართული საზოგადოებრიობის ნაწილმა სამწუხაროდ დღემდე ვერაფრით ვერ გაითავისა ერთი შეხედვით უმარტივესი ჭეშმარიტება და კონკრეტულად აი რა: დღესაც ნათელია, რომ ამ რეგიონში ზესახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესები იკვეთება! ამ რეგიონში რუსთა სახელმწიფო აშშ-ს გეოპოლიტიკურ ინ-

ტერესებს ეწინააღმდეგება! რუსები ჩვენ კი არ გვებრძვიან აქ, არამედ ცდილობენ მაქსიმალურად გაანეიტრალონ რეგიონში იანკების გავლენა! არ სურთ რუსებს სამხრეთ საზღვრებთან აშშ-ს და NATO-ს სამხედრო ბაზები განლაგდეს და მის სახელმწიფოებრიობას საფრთხეს უქმინდნენ! დიახ, სულ ესაა და ეს მავთულხლართებიც ამ კონტექსტში უნდა დავიხსნათ! ახლა, ეს თუ არ ესმის ვინმეს – რა თქმა უნდა ცუდია! დიახ, ეს უწინარესად ჩვენი სამშობლოსათვის არის ცუდი..

ჩვენ აუცილებლად უნდა გავითავისოთ ის, რომ საქართველო უფრო მძიმე, უფრო საშიში გამოწვევების წინაშე დგას! ეს ოხერი მავთულხლართები არაა იმდენად საშიში! ამ მავთულის ბადეს პრაგმატული და სტრატეგიულად სწორი არჩევანის შედეგად ბოლოსდაბოლოს მოიშორებს საქართველო, მაგრამ სულიერი გადაგვარების, სოღომიტური გარყვნილების ჯოჯოხეთურ ხლართებში უპირებენ ჩვენს სამშობლოს გაბმას და აი ესაა უფრო დიდი და შემზარავი უბედურება! აი, ამას თუ მიადევს გლობალისტურმა წრეებმა – აი, მაშინ კი – დამთავრებულია, საბოლოოდ დამთავრებულია ჩვენი ამბავი! აი, მაშინ ჩვენც შეგუერთდებით ათასწლეულების გადასახედზე გადაშენებულ, გამქრალ ერთა თუ ეთნოსთა გრძელ და შთამბეჭდავ ნუსხას!

აი, ამაზე დაფიქრდით გეორგიანო! დაფიქრდით და შესაბამისადაც გაისარჯეთ..

ზურაბ კვარაცხელია, ზუგდიდი

ბოლო კვირის კრიმინალური ქრონიკა თბილისში – როგორ აუხაზენ კრიმინოლოგები მკვლელობას იურიდიული

ბოლო დროს ხშირად ვრცელდება ინფორმაცია მკვლელობის, დაჭრის, ყანალობის, ძარცვის, თუ ქურდობის ფაქტებზე. სამწუხაროდ, ქუჩურ გარეგნობებს ისევ ეწირება ახალგაზრდები, ქუჩაში ისევ გადაადგილდებიან ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულები და ერთმანეთს სასიკვდილოდ იმტევენ.

ბოლო დღეებში ხედიხვდ რამდენიმე შემთხვევა მოხდა. 25 ივნისს, შუაღამისს ვაჟა-ფშაველას გამზირზე ახალგაზრდა ბიჭი მოკლეს. მოსახლეობა ამბობს, რომ იარაღიდან 10 გასროლის ხმა გაიგეს. მიზეზად შურისძიება სახელდება. იმავე დღეს, მეტრო "გურამიშილის" მიმდებარედ ახალგაზრდებს შორის მომხდარი ჩხუბი მიმე შედეგით დასრულდა: 4 ახალგაზრდა, მათ შორის ორი სპორტსმენი, ახალგაზრდა მამაკაცმა ცივი იარაღით დაჭრა. 14 ივნისს, ქუჩაში ფიზიკურად გაუსწორდნენ ოქმორიც და ერთი როსტომაშვილი..

მსგავსი შემთხვევების ჩამოთვლა შორს წავიკვირებინს, ფაქტია, საზოგადოება შეშფოთებულია. მართალია, შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ კრიმინალი ქვეყანაში გაზრდილი არ არის და საგანგებო არაფერი ხდება, თუმცა IDFI-ს ვინკვის თანახმად, 2014-2015 წლებთან შედარებით, 2016 წლის 9 თვის განმავლობაში დანაშაულის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება.

იურისტი ღია მშხაშაშაშა: – ქვეყანაში კრიმინოლოგიური ვითარება აშკარად დამძიმდა, ამის სერიოზული წინაპირობა ისაა, რომ არ მხოლოდ სამართლიანობის აღდგენა, ხელისუფლებამ არ შეასრულა თავისი ძირითადი ფუნქცია და არ აღადგინა დარღვეული უფლებები.

ჩემი ვარაუდია, ადამიანები აღარ ელოდებიან სამართლიანობის აღდგენას, არ აქვთ იმის იმედი, რომ სასამართლო სამართლიანად გადაწყვეტს მათ საქმეს და თვითონ ცდილობენ სამართალი აღასრულონ. ამ პრობლემაზე ვსაუბრობ 4-5 წელია, მაგრამ სამწუხაროდ, ვინც ეს უნდა გაიგონოს, იმათ არ ესმით. ჩემი აზრით, კიდევ უფრო დამძიმდება კრიმინოლოგიური ვითარება, რადგან საპირისპირო მოქმედება ხელისუფლების მხრიდან არ ჩანს. არ მინდა ხალხი შევაშინო, მაგრამ მეწინააღმდეგეობა, ძალიან სერიოზული პრობლემაა ეს და ჯობია მწარე სიმატლეს თვალი გაუხსნათ.

ამდენი ავტომატი, ამდენი იარაღი ქუჩაში... არასოდეს არ ყოფილა პოლიციელის რაოდენობა და ძალისხმევა ამ ყველაფერს, სადაც სამართალი არ არის აღსრულებული და დარღვეული უფლებების აღდგენა სისტემური პრობლემაა, ეს პრობლემა იქ ყოველთვის იქნება. მერწმუნეთ, თუკი არ მოხდება სამართლიანობის აღდგენა და პროცესი მართლა არ დაიწყება, ადამიანები

აღარ დაელოდებიან "კეთილ პოლიტიკურ ნებას" და იძულებული იქნებიან თავად იპოვიან სამართალი. კარგად ვიცი, რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს უამრავი ძალადობრივი უპირობო ფაქტი მოხდა, როგორც ციხის გარეთ, ისე ციხეში და ამ ადამიანებისთვის პასუხი არავის მოუთხოვია. ამიტომ ადამიანები გადავიდნენ პირდაპირ ძალადობაზე, საპასუხო ძალადობაზე. ხშირად ვგეგმის, რომ ვიდაცას ესროლეს, ვიდაცა ჩაცხრილეს, ვიდაცას დახვდნენ ქუჩაში, ვფიქრობ პირდაპირ ამასთან არის მიზეზობრივად დაკავშირებული..

სასამართლო გადაწყვეტილებები უფრო ლოიალურია დღეს, ვიდრე ეს იყო ადრე. ესეც ხომ არ არის ერთ-ერთი მიზეზი დანაშაულის მატების?

– არა. მართლმსაჯულება უნდა იყოს ლოიალური და არ უნდა იყოს სასტიკი. სახელმწიფო კანონის სახელით ვიდაცას რომ სჯის, იქ დაზარალებულს არ უნდება რომელიცა, რომ მას პირადად მოსთხოვოს პასუხი, მაგრამ როცა არ ისჯება, მაშინ იბრძვის. შეწყალების აქტიც და ვადამდე პირობით ადრე გათავისუფლებაც არ წარმოშობს იმ საფრთხეს, რაც იქვეა ახლა ვსაუბრობ. პრობლემა ისაა, რომ ვინც ჩაიდინა უმძიმესი დანაშაული, უპირობოდ დააპატიმრა ადამიანი, ციხეში უპირობოდ აწამა, არა თუ არ დასჯილა, პირიქით, სოციალური დაწინაურება კიდევ და გადასარეგად გრძობს დღეს თავს. ამის მოთმენა და ამასთან შეგუება კი პრაქტიკულად შეუძლებელია.

რას ეტყობი ხელისუფლებას?

– სასამართლო და მართლმსაჯულება საზოგადოებას სჭირდება, ხელისუფლება თუ ვერ შეისმენს, რომ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს შექმნა აუცილებელია და ეს თუ არ იქნება, მაშინ ადამიანები ოფიციალურ სასამართლებას სხვა მექანიზმებით ჩანაცვლებენ, ეს კი არავისთვის ხელსაყრელი არ იქნება. არავის უხარია შიშით ცხოვრება და რაც მთავარია, ყველა ვერ მოახერხებს ისეთი დაცვა შექმნას, რომ მას და მის ოჯახს წევრებს არავინ შეეხოს. ამიტომ საყოველთაო სურვილია, სამართლიანობა აღდგეს და დარღვეული უფლებები სახელმწიფომ მართლმსაჯულების გზით აღადგინოს.

– შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ დანაშაულის სტატისტიკა გაზრდილი არ არის... თუმცა აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 9 თვის განმავლობაში რეგისტრირებული დანაშაულის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. კერძოდ, 2016 წლის 9 თვეში 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით რეგისტრირებულია 154 ერთეულით მეტი დანაშაული, ხოლო 2015 წელთან შედარებით 1394 ერთეულით მეტი..

– კარგად ნაცნობია ეს ტექნოლოგია, დიდი ხანია მაკით მანიპულირებს შესაბამისი ორგანოები. მე არ მჯერა, რომ არ არის დანაშაული გაზრდილი, ან მათი რეგისტრაცია სწორად არ ხდება, ან სტატისტიკა არ არის მართლად და სანდო. ფაქტია ყოველდღე გვესმის მძიმე დანაშაულებზე, არის გახშირებული ქურდობებიც, საქონელსაც კი პარავენ ხალხს, პირადად მე რაიონში 10 ტომარა თხილი მომპარეს, მაგრამ არავის არაფერი გაუხსნია. პოლიციას ხელი არ გაუშნრვეია.

ყოფილი პროკურორი, ადვოკატი მირიან 60მონამი:

– არ არის ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც ამ დინამიკაზე დაკვირვების საშუალებას მოგვცემდა, ან არ აქვეყნებენ, ან ყველა სუბიექტურად უნდება. სამწუხაროდ, ყოველდღიურად ვუყურებთ, რომ განსაკუთრებით ძალადობრივი ხასიათის დანაშაულები მომტეხებულია, ამიტომაც საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს შესაბამისი ორგანოებისგან სრული სურათი, რათა ვიცოდეთ რეალური სტატისტიკა.

სასამართლო სტრუქტურის აკრიტიკებენ, ამბობენ, რომ მოსამართლეები ძალიან მცირე სასჯელებს უსჯიან უმძიმესი დანაშაულებისთვის ბრალდებულებს..

– სამართალდამცავები ამბობენ, სასამართლო ლიბერალური გახდა, ჩვენ რა ვქნათ ისინი უშეგებნი. სასამართლო რეალურად, ასწია სტანდარტი. ვინც იტყვის, რომ სასამართლო არ არის სამართლიანი, ტყვის. საქართველოს ასეთი სასამართლო არ ჰყოლია. გამოსარჩე სააკაშვილის დროინდელი სასამართლო, სადაც ყველაფერს აკანონებდნენ, ახლა ასე არ არის. დღეს მაქსიმალურად ობიექტურია და უხარისხო საქმეს აფასებს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. გამამართლებელი განაწინი გამამართლებელზე დგება, ხშირად ნამდვილ დამნაშავეებსაც ამართლებენ, რადგან იმასაც ვერ ახერხებენ, რომ საგამოძიებო კუთხით გაამაგრონ მტკიცებულებები, რათა ეს საკმარისი აღმოჩნდეს ბრალეულობის გასამართლებლად.

თქვენ ამბობთ, რომ დამნაშავეებიც გართ გამოდიან?

– კი, ეს შეუქცევადი პროცესი გახდა, ამას ვერ აჩერებენ. არც კანონის სიმკაცრეშია პრობლემა, მოსამართლეები იძულებული ხდებიან დამნაშავეები გამოუშვან გართ. შს სამინისტროს გამოძიებული საქმეები უხარისხო უხარისხია, ეს ხდება განსაკუთრებით ძალადობრივი დანაშაულებზე, სადაც ყოველდღე მტკიცებულება უნდა მოიპოვოს ადამიანმა. ისევ სააკაშვილის დრო გონია, სადაც მინეულები ვიყავით ყველა საქმეზე გამამართლებელი განაწინი გამოდიოდა და პოლიციელები ჯერ ისევ ამ ტალღაზე არიან,

მაგრამ სასამართლო ითხოვს მტკიცებულებებს. თავიდან მეც მეგონა, სასამართლო ბლოკირებას ხომ არ აკეთებს სამართალდამცავი სისტემის, მაგრამ საქმეები სხვას ადასტურებს. მართლმე ერთ ადვოკატს ბევრი გამამართლებელი განაწინი მაქვს და ასე არიან ჩემი კოლეგები. საქმეში რომ ჩაიხედო, გული გაგისკდება, იმდენად არ აქვთ მტკიცებულებები და ისე იმაქვთ სასამართლოში.

უპირველესად აკადემიაში რომ ჰყავთ ნიჭიერი ახალგაზრდობა, ისინი უნდა მოიყვანონ და ფსიქოლოგიურად უნდა შეცვალონ დამოკიდებულება პოლიციელმა. პოლიციელმა მუშაობით კი არ უნდა სდიოს დამნაშავეს, თავისი კვალიფიციით უნდა სდიოს.

დანაშაულების დიდი ნაწილი ცეცხლსასროლი იარაღით ხდება..

– შს-მ მოაწყო არაერთი რეიდი, ამიღო იარაღები და ამას მოყვა არასამთავრობოების ხმაური, ესეც არ არის სწორი. მათ ყველაფერში ვერ დავადანაშაულებთ, აბა რა ქნას, როგორ ებრძოლოს კრიმინალს? უფრო მძაფრი მეთოდები უნდა იყოს. მე მასხლეს ჩემი პროკურორობის დროს რამდენჯერმე დაუძახეს ოჯახებს, უთხრეს, თქვენს შვილებს იარაღები აქვთ, ამაზე გვაქვს ინფორმაცია და სანამ უბედურება მოხდება, მივხედოთ ამ პრობლემასო, მშობლებმა თქვენს, ეს რა გვაკადრესო და ატყდა ხმაური, მევე კი მოხდა დანაშაულები სწორედ იმ იარაღებით. ფაქტია, საზოგადოება და სტრუქტურები უნდა იყვნენ ერთსულოვანი და ჩვენს თავში ვეძებთ დამნაშავეს.

როგორც ჩანს, სახელმწიფოს კვალიფიციაცია არ ყოფნის. ხშირად ისმის ისიც, მეტი რა ქნან ბიჭებმა, დღე და ღამეს ათენებენო, კი ბატონო, მართლა იქ ცხოვრობენ პოლიციელები, მაგრამ ცალსახაა, არის პროფესიონალიზმის პრობლემა, არ იციან როგორ უნდა ებრძოლონ დამნაშავეს. უნდა ებრძოლონ, სხვა გზა არ არის, ვერ გადავულოცავთ კრიმინალს ვითარებას". ქვეყანაში არსებულ კრიმინოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს კომენტარის მიღებასაც შეეცადა. გესურდა პასუხები მიგველო კითხვებზე: გაიხარდა თუ არა ქვეყანაში კრიმინალური ფაქტები და რატომ ვაპრებათ იურისტებს ეჭვი იმ სტატისტიკის რეალურობაში, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო აქვეყნებს; რა მოქმედებებს ატარებს უკანონო იარაღის ამოსაღებად სამართალდამცავი უწყება და რა პერიოდულობით ატარებს რეიდებს ქვეყნის მასშტაბით. ამ კითხვებზე შს-ს პასუხები ჯერჯერობით ვერ მივიღოთ..

თია ხუციშვილი AMBEBIGE

მარტვილის კანიონი წყალქვეშა სურვისთვის ევროპის 8 საუკეთესო ადგილს შორის დასახელდა – ვიქტორ ლიაგუშკინის ფოტოები

ჩვენმა გაზეთმა არაერთხელ გამოაქვეყნა წერილობითი მასალები თუ ილუსტრაციები სამეგრელოს განუმეორებელი ბუნების შესახებ. საერთოდ, საქართველო განთქმულია ბუნებისაგან ბოძებული საოცარი სილამაზის მქონე ადგილებით, მაგრამ მათ შორის ღირსეული ადგილი რომ სწორედ სამეგრელოს უკავია, ამაზე უკვე აღარაფერია დათბეს. ამიტომაცაა, რომ საერთაშორისო სპორტული თუ ახალგაზრდული ორგანიზაციები სწორედ სამეგრელოს განუმეორებელ ბუნებაში გეგმავენ სერიოზული საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარებას.

ამას წინათ მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დაიგინგის საერთაშორისო ფედერაციამ სწორედ სამეგრელოში, მარტვილის კანიონში დაგეგმა სერიოზული საერთაშორისო შეჯიბრების ჩატარება, რომელშიც ლამის მთელი მსოფლიოს ახალგაზრდები მიიღებენ მონაწილეობას.

მოგზაურმა და ფოტოგრაფმა ვიქტორ ლიაგუშკინმა საქართველოში 2015 წელს იმოგზაურა, მისი განსაკუთრებული ყურადღება მარტვილის კანიონში მიიქცია.



სპეციალური განცხადება

როგორც ცნობილი გახდა, "ილორს" შეექმნა ფინანსური პრობლემები, რამაც გამოიწვია მისი გამოცემის პერიოდულობის გაზრდა. როგორც თქვენთვის კარგად არის ცნობილი, გაზეთი არ ტოვებს ყურადღების გარეშე არცერთ საჭირობორტო საკითხს, ის მუდამ ქვეყანაში მიმდინარე სოციალური-პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში იმყოფება! მან დაიმსახურა მკითხველი საზოგადოების პატივისცემა და დიდი სიყვარული! ამიტომ მოგმართავთ თხოვნით და შემომამქვს წინადადება, რათა, ჩვენ მკითხველი საზოგადოება დაგუდგეთ გაზეთს გვერდში და ვისაც რის საშუალება გექნება, გაგუწიოთ ფინანსური დახმარება!

მსურველებისათვის ასევე განვათავსებთ რეკლამებს შედარებით ფასებში,

ამისათვის გთავაზობთ საბანკო ანგარიშს, რომელზეც შესაძლებელი იქნება, ნებისმიერი მსურველის მიერ, ნებისმიერი თანხის ჩარიცხვა! ნათქვამია: „კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირვის“. ასე, რომ ჯერი ჩვენზეა!

პატივისცემით,
ანზორი დანელია
ტელ. 571 22 66 34

საბანკო ანგარიში:
ს.ს „ლიბერთი ბანკი“
ანგარიშის ნომერი: **GE79LB0711188020717000**
ანგარიშის ვალუტაში: **GEL / USD / EUR – მულტი სავალუტო ანგარიში**
მფო: **220101480**
მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ი. ჭავჭავაძის გამზირი 74
თბილისი, 0162, საქართველო
მიმღები ბანკის **swift** კოდი: **LBRTGE22**
ანგარიშის მფლობელი (მიმღები): **ანზორი დანელია**
იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ჩანაფიქრს უწერია განხორციელება და მგონი კეთილი ხალხის ნაკლებობას საქართველო არ განიცდის, მინდა წინასწარ განვაცხადო: ჩვენი საქველმოქმედო აქციის დაწყებიდან, ყოველი სამი თვის გასვლის შემდეგ, გაზეთის ფურცლებზე, თანხის შემომწირველთა თანხმობის შემთხვევაში, ჩემს მიერ იქნება წარმოდგენილი სრული ინფორმაცია თანხის შემომწირველებისა და შემოწირული თანხის ოდენობის შესახებ!

ამ პროექტში, ყველაზე მთავარ როლს სოროსის მახინჯი ინტერესი ჩაღებულ
სოციოლოგიის პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა, სოროსის შესახებ სტატუსი გამოაქვეყნა. მის სტატუსს უფლედამცველი დავით ლილუაშვილი სოცქსელის პირად გვერდზე პასუხობს:
“ცოტა ხნის წინ, ერთმა აქაურმა მეგობარმა დაწერა სოროსის და მისი პროექტების შესახებ სტატუსი კერძოდ ის, რომ სოროსის დახმარებით მიიღო განათლება, ხოლო სოროსის ფონდს აქვს წარმატებული პროექტები და ა.შ. ხოდა, მეძახეთ ახლა სოროსელი...
პატივცემულო, სოროსის მიზნები ყველასთვისაა ცნობილი და ის, რომ ერთ-ერთი არის განათლებას მოწყობის ახალგაზრდების დაფინანსება, ეს არ ამართლებს მის სხვა კარდინალურ ამოცანებს. ისე, ამ პროექტში, კიდევ ყველაზე უფრო მეტად არის სოროსის მახინჯი ინტერესი ჩაღებული ის, რომ თქვენ და კიდევ რამოდენიმე ადამიანმა არ შეიცვალეთ მენტალიტეტი და ღირებულებათა სისტემა (რაც ნამდვილად დასაფასებელია), ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოროსი და მისი იდეოლოგია მისაღები და დასაფასებელია!!!” – წერს ლილუაშვილი.

იუმორი
ექიმის კაბინეტში ძლივს შევტია ჭარბ-წონიანი ქალბატონი.
– ცოტა უნდა ჭამოთ, – ეუბნება ექიმი.
– ქმრისა და შვილების დატოვებულ საჭმელს ვჭამ...
– ღორი შეიძინეთ!
– ღორის საჭმელი არ მიყვარს!...

– ძვირფასო, ჩაირბინე, რა. სურსათის მაღაზიაში.
– რას ამბობ, ისეთი თავსხმა წვიმაა, პატრონი ძაღლს არ გააგდებს გარეთ!
– შენც ნუ წაიყვან ძაღლს.

ტელეფონის ზარი:
– ალო, ვისმენთ!
– როგორ ხართ?
– გმადლობთ, კარგად.
– უკაცრავად, ეტყობა, სხვაგან მოეხვედით.

ცოლ-ქმარი პლაჟზე. ქმარი ქალებს ათვალიერებს.
– ხომ არ გავიწყდება, რომ ცოლიანი ხარ? – ეუბნება ცოლი.
– მერე რა, შენც კი ხარ დიეტაზე, მაგრამ მე ხომ არ გიშლი მენიუს წაკითხვას

სასაულომოქმედი პრეპარატი "დომენოლი" და "გაგენოლი" მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურები

დომენტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰეპრნავს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქვენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მეურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზა და დოდო.

კოორდინატები: თბილისი, აჭყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.
ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან